საქართველოში 860-მდე ტბაა, მათი უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170 კმ²-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0.24%) და უმეტესობა მტკნარია. მათგან ყველაზე დიდი ფარავანის ტბაა (37,5 კმ²), მოცულობით ტაბაწყურის, სიღრმით რიწის (იგი უღრმესია სამხრეთ კავკასიის ტბებს შორის). ჭაობებს განსაკუთრებით დიდი ფართობი (225 ათასი ჰა) კოლხეთის დაბლობზე უკავია.

ჰიდროელექტროსადგურებსა და ირიგაციულ სისტემებს 44 წყალსაცავი ემსახურება. მათგან 35 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. წყალსაცავები ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ. ამჟამად საქართველოში ელექტროენერჯის 75%-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურებში გამოიშვება. ქვეყნის აღმოსავლეთ, უფრო მშრალ ნაწილში ირიგაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18 000 მლნ. მ³-ს შეადგენს. საერთო საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგები დაახლოებით 10 600 მლნ. მ³-ია. საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარებში აკუმულირებულია 30130 მლნ. მ³ ყინული. ენგურის აუზში 22462 მლნ. მ³, რაც 4,1-ჯერ აღემატება მდ. ენგურის საშუალო წლიურ ჩამონადენს.

ქვეყანაში დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ადმინისტრაციული პრინციპის საფუძველზე ხორციელდება, რაც ნაკლებად ეფექტურია გამომდინარე წყლის ბუნებიდან და იმ ჭეშმარიტებიდან, რომ “წყალმა არ იცის საზღვრები”. ადმინისტრაციული მოდელი ვერ უზრუნველყოფს წყლის რესურსების მოხმარების ეფექტიან დაგეგმვას მდინარის აუზის ფარგლებში არსებული წყალმოსარგებლების ინტერესებისა და ამავდროულად გარემოსდაცვითი მიზნების გათვალისწინების საფუძველზე.

ქვეყანაში მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს (მტკნარი, მინერალური და თერმული), რომლებიც ხასიათდება დიდი რესურსებით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და მყარი წიაღისეულისგან განსხვავებით, დროში განახლებადობით. მტკნარი მიწისქვეშა წყლები წარმოადგენს ყველაზე ძვირფას წიაღისეულს და სასმელად ვარგისი, უმაღლესი ხარისხის წყლების, ყველაზე საიმედოდ დაცულ წყაროს. იგი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის უპირველესი მოთხოვნილებას ჰაერის შემდეგ და, სწორედ, ამიტომაც ითვლება უნიკალურ წიაღისეულად, რომელთა რაოდენობის მხრივ საქართველო ერთერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსების უდიდეს ნაწილს - 95% -ს (571,7 მ³/წმ - 49,4 მლნ. მ³/დღ.) შეადგენს სასმელი წყლები, რომლებიც ფართოდ, მაგრამ არათანაბრად არის გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათი საერთო რაოდენობის 63,4% - (362,5 მ³/წმ) მოდის დასავლეთ, 24,1% - (137,9 მ³/წმ) აღმოსავლეთ, 12,5% - (71,3 მ³/წმ) კი - სამხრეთ საქართველოზე. აღნიშნული წყლები ხასიათდება მარილების ძალზე დაბალი შემცველობით (200-300 მილიგრამამდე ლიტრზე). ასეთი წყლები, გარდა სასმელად და ჩამოსასხმელად ვარგისიანობისა, მათი სიხისტიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა უალკოჰოლო, თუ ალკოჰოლიანი სასმელების ჩამოსასხმელად. მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების საერთო რესურსების დაახლოებით მესამედი ნაწილი დეტალურად არის შესწავლილი და მათი მარაგები დამტკიცებულია სახელმწიფო კომისიაში 145,5 მ³/წმ რაოდენობით. რომელთაგანაც 48% (63,9 მ³/

წმ) მოდის დასავლეთ, 45%, (60,3 მ³ /წმ) აღმოსავლეთ, ხოლო 6,7% (6,7 მ³/წმ) სამხრეთ საქართველოზე. ყველა კატეგორიის დამტკიცებული მარაგების გათვალისწინებით, ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასმელი წყალი 2,2 მ³ /დღ.დ. ოდენობით, ხოლო მაღალი (სამრეწველო) კატეგორიის მიხედვით - 0,88 მ³ /დღ.დ. დასაშვები ნორმატივების მიხედვით, პერსპექტივაში (მოსახლეობის 5 მლნ-მდე გაზრდის შემთხვევაში), ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა 2,5-ჯერ მეტია ქვეყნის შორეულ პერსპექტიულ მოთხოვნილებაზე, ე.ი. ჭარბი რესურსი შეადგენს 150 მ³/წმ.

ქვეყნის სასმელი და სამკურნალო დანიშნულების მინერალური წყლების გამოსავლების საერთო რაოდენობა, 160 ათ. მ³ მეტი ჯამური სადღეღამისო დებიტით, 2 ათასს აჭარბებს. დღეისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე გეოლოგიურად შესწავლილია მინერალური წყლების ორმოცზე მეტი საბადო. გამოვლენილი და მარაგების სახელმწიფო კომისიაში დამტკიცებული მინერალური წყლების სამრეწველო მარაგები დღე-ღამეში 43,5 ათ. მ³-ს შეადგენს. უდიდესი ნაწილი დამტკიცებული მარაგებისა (25 ათ. მ³/დღ.დ.) მოდის 17 საბადოს სამკურნალო წყლებზე, რომლებიც გამოიყენება გარეგანი მოხმარებისათვის (სამკურნალო აბაზანები) - მაგ. წყალტუბო, მენჯი და სხვ. მინერალური წყლების მეორე ჯგუფი, რომელთა დამტკიცებული სამრეწველო მარაგები 7 ათ. მ³/დღ.დ. შეადგენს, ორმაგი მოხმარებისაა - გამოიყენება ადგილზე სასმელ-სამკურნალოდ და სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის (ბორჯომი, ნაბეღლავი), ასევე სამკურნალო აბაზანებში (კურორტებზე). მესამე ჯგუფი მინერალური წყლებისა, რომელთა დამტკიცებული მარაგები 6 ათას მ³ აჭარბებს დღეღამეში, გამოიყენება მხოლოდ სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის (მაგ. საირმე, მიტარბი). ეს არის ძირითადად ნახშირმუცა (ნახშირორჟანგიანი), სხვადასხვა ქიმიური შედგენილობისა და სამკურნალო თვისებების მქონე წყლები, რომელთა საერთო მინერალიზაცია 1,5-11,0 გ/ლ-ის ფარგლებშია. სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის გამოსაყენებელი მინერალური წყლებიდან უნდა გამოიყოს დაბალმინერალიზებული (1,0-2,5 გ/ლ) ე.წ. სუფრის წყლების ჯგუფი. ამ ტიპის წყლებზე მსოფლიოს ბაზარზე მოთხოვნილება ძალზე დიდია, სახელმწიფო კომისიაში დამტკიცებული სამრეწველო მარაგები აღემატება 3 ათ. მ³/დღ.დ., რომელთა დიდი ნაწილი განლაგებულია საქართველოს მაღალმთიანეთში (ყაზბეგი, უწერა, მესტია). თერმული წყალი არის დედამიწის სიღრმული სითბოს ამომტანი ზედაპირზე. გეოთერმული სითბო, რომელიც განახლებადი ენერჯის ერთ-ერთი უმრავლესი წყაროა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა სითბური ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით.

გეოთერმული წყლების მოხმარების სპექტრი საკმაოდ ფართეა. მას იყენებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ მეურნეობასა და ბალნეოლოგიაში. საქართველოს ტერიტორიაზე თერმული წყლები არათანაბრად არის განაწილებული. გამოვლენილი გეოთერმული რესურსების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია საქართველოს მთათაშუეთში (რიონისა და მტკვრის დეპრესია), გამოსავლების სიხშირით მეორე ადგილზეა აჭარა-თრიალეთი, ხოლო კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე დაფიქსირებულია თერმული წყლების ერთეული გამოსავლები. ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 30-108° ტემპერატურის მქონე წყლის 250-მდე ბუნებრივი წყაროსა და ხელოვნური ჭაბურღილის ცალკეული და ჯგუფური გამოსავლები. მათი ჯამური დებიტი 160 ათ. მ³ /დღ.დ. შეადგენს. გეოთერმული შესწავლის დონის მიხედვით, წიაღში არსებული წყლების მარაგები, თვითდენის პირობებში, შეადგენს 350-400 მლნ. მ³ /წელიწადში. მათგან, დღეისათვის გამოვლენილია (თბილისის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, სენაკის, ხობის, გალის, სამტრედიის, სოხუმის მუნიციპალიტეტებში) და

მარაგების სახელმწიფო კომისიაშია დამტკიცებული. სამრეწველო კატეგორიებში, თერმული წყლების საექსპლუატაციო მარაგები 126 ათ. მ³ /დღ.დ. ოდენობით, რაც საერთო პროგნოზული მარაგების მხოლოდ 20%-ს შეადგენს. თერმული წყლების პროგნოზული რესურსების შესაძლო თერმოენერგეტიკული პოტენციალი, 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის, ან 500 მლნ. მ³ საწვავი აირის ექვივალენტურია წელიწადში.

1897 წელს მიხეილ რომანოვის განკარგულებით, ბორჯომის მინერალური წყლების ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელსა და დირექციის წევრს – მოლდენგაუერს, ლიკანის სასახლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება დაევადა. 1898 წელს მისი ინიციატივით აშენდა პირველი ჰიდროელექტროსადგური, ბორჯომის ჰესი. მას 103 კვტი სიმძლავრის ელექტროენერგიის გამომუშავება შეეძლო. საქართველოში ჰესების ფართო მშენებლობა მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო. 1927 წელს ავჭალის ჰიდროელექტროსადგური „ზაპესი“ (დადგმული სიმძლავრე-36,8 მგვტ.) აშენდა, 1928 წელს – „აბჰესი“, 1934 წელს კი – „რიონჰესი“. 1941 წლისთვის საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 180 მგვტ შედგინა. 1945-1960 წლებში სულ ექსპლუატაციაში 11 ჰესი შევიდა. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში 58 ჰიდროსადგური ფუნქციონირებს, რომელთაგან 10 მხოლოდ სეზონურია. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის – „საქართველო 2020“ პროექტის მიხედვით, დღეს ჰიდრორესურსების წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მგვტ-ის, საშუალო წლიური ენერჯია კი 50 მლრდ კვტ. საათის ეკვივალენტურია. ამასთან, ჰიდრორესურსების პოტენციალის 80 % აუთვისებელია, ანუ საქართველოს მთლიანი ჰიდრორესურსების მხოლოდ 20%-ია გამოყენებული. ენგურჰესი მდინარე ენგურზე 1961-1978 წლებში შენდებოდა. ის ყველაზე მძლავრი ჰესია სამხრეთ კავკასიაში და ჰესების კასკადია, რომელშიც შედის თვით ენგურჰესი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 1300 ათ. კვტ (5 აგრეგატი, თითოეული 260 ათ. კვტ სიმძლავრის), ვარდნილჰესი № 1 (სიმძლავრე 220 ათ. კვტ) და სამი 40-ათ. კვტ სიმძლავრის ჰესი. სექტორის მდგომარეობის გამომწვევები მდინარე ფანტასტიკურ ჩანაფიქრად და უტოპიად მიჩნევენ. დღეს ენგურჰესის თაღოვან კაშხალს მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსი. ის დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ და უცხოელ ვიზიტორებს შორის.

საქართველოს წყალსაცავების წყალი ძირითადათ სამი დანიშნულებით გამოიყენება: სარწყავად, ენერგორესურსად და სათევზაოთ (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი 1

საქართველოს ძირითადი წყალსაცავები და მათი სამეურნეო გამოყენება

მკვებავი მდინარე	ფართობი მ ²	მოცულობა მ ³ (მლნ)	სამეურნეო გამოყენება
წალკის წყალსაცავი -ქცია/ხრამი	33,7	312	ენერგეტიკა
ჯვრის წყალსაცავი ენგური	13,5	1100	ენერგეტიკა
შაორის წყალსაცავი-შაორა	13,2	71,0	ენერგეტიკა

სიონის წყალსაცავი-იორი	12,8	325,4	ენერგეტიკა
ტყიბულის წყალსაცავი-ტყიბულა	12,1	84	ენერგეტიკა
თბილისის წყალსაცავი-იორი	11,6	308	კომპლექსური
ჟინვალის წყალსაცავი-არაგვი	11,5	520	კომპლექსური
გალის წყალსაცავი-ერისწყალი	8,2	145	ენერგეტიკა
ვარციხის წყალსაცავი-ყვირილა	5,1	4,6	ენერგეტიკა
გუმათის წყალსაცავი-რიონი	2,4	39	ენერგეტიკა
აღგეთის წყალსაცავი-აღგეთი	2,3	65	მელიორაცია
ლაჯანურის წყალსაცავი-ლაჯანური	1,6	50	ენერგეტიკა

წყარო [3]

საქართველოში მოხმარებული მტკნარი წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი (დახლოებით 70%) სოფლის მეურნეობაზე მოდის. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ წყლმომხმარებლებს წარმოადგენენ: მორწყვა, საძოვრების გაწყლოვანება, მეცხოველეობა-მეფრინველეობის ფერმერებისა და სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგება. მათგან ძირითად წყალმომხმარებელს მორწყვა წარმოადგენს. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის საერთო სარწყავი წყალმომხმარების 85% [2, გვ.55].

წყლის რესურსების სიუხვის მიუხედავად ისინი სუსტადაა გამოყენებული ტურისტულ სფეროში. მათგან ყველაზე დიდი რაოდენობით რეკრეანტი ბაზალეთის ტბას სტუმრობს (შავი ზღვის) შემდეგ. აქ ყველაფერია შექმნილი რეკრეანტების სრულფასოვანი დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის, ბაზალეთი ულკანური წარმოშობისაა და მისი წყალი დერმატოლოგიური, რევმატოლოგიური და გენოკოლოგიური დაავადებების სამკურნალოთ გამოიყენება.

დიდი პოპულარობით სარგებლობს რეკრეანტებს შორის, შაორის ტბა, განსაკუთრებით თევზჭერის მოყვარულებში და აქ კარგი შესაძლებლობებია საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის.

კავკასიის რეგიონალური ეკოლოგიური ცენტრისა და ლიხტენშტეინის სათავადოს ფინანსური მხარდაჭერით იწყება „პალიასტომის ტბის ეკოსისტემების აღდგენის პროცესის“ პროექტი. მისი მიზანია პალიასტომის ტბის გარდა პატარა მდინარეები დაიცვას დევრადაციისაგან. მდ. რიონის წყლის ცირკულაციის უზრუნველსაყოფათ იგეგმება გამშვები არხის რეაბილიტაცია. აქ ერთადერთი „აქვალური“ ეროვნული პარკია დღეს საქართველოში. საუკუნეების მანძილზე სანაპიროს გასწვრივ ზღვის ტალღების მიერ გადაადგილებულმა ქვიშის დიუნებმა ლაგუნა ზღვის მარილიან წყალს მოსწყვიტა, მდინარე ფიხორიდან პალიასტომში ჩადინებულმა სუფთა წყალმა ტბა გაამტკნარა და ამ ყველაფრის შედეგად სამი მეტრის სიღრმის ბუნებრივ წყალსატევში თევზის სხვადასხვა სახეობისთვის იდეალური საარსებო გარემო შეიქმნა. კოლხეთის ჭაობები პირველ რიგში, თავის რელიქტური წარმოშობითაა მნიშვნელოვანი. ეს

დაბლობი კაინოზოური ხანის ნაშთია - ტროპიკული და სუბტროპიკული ლანდშაფტისა, რომელიც დაახლოებით 10 მილიონი წლის წინ მოელი ევრაზიის კონტინენტზე უწყვეტ ზოლად იყო გადაჭიმული. კოლხეთს შემორჩა მცენარეები, რომელიც დღეს მხოლოდ შორეული ჩრდილოეთის ტუნდრისა და ტაიგის ჭაობიანი ეკოსისტემებისთვისაა დამახასიათებელი. ამან განაპირობა დაცული ტერიტორიის შექმნა. პარკი ტურისტებს სთავაზობს პალიასტომის ტბასა და მდ. ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგს) და ეკო-საგანმანათლებლო ტურებს.

საქართველში ბევრ მდინარეზე (ჭოროშიანობის გამო) შესაძლებელია განვითარდეს ექსტრემალური ტურიზმის ისეთი სახეობა, როგორცაა ჯომარდობა. დღეისათვის ეს სახეობა მხოლოდ 2 მდინარეზე არაგვსა და რიონზეა განვითარებული. შავ ზღვაზე ფოთის მიდამოებში შესაძლებელია დაიფინგის განვითარებაც.

საქართველო მდიდარია მდინარეთა უღამაზესი კანიონებით, სადაც შესაძლებელია კანიონინგის განვითარება, მათ შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს: მარტვილისა და ოკაცეს კანიონები.

ბოლო წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად იზრდება ტურისტთა ინტერესი ექსტრემალური ტურიზმის ისეთ სახეებზე, როგორცაა: რაფტინგი, დაიფინგი და კანიონინგი. ქვეყანაში მიმდინარე პროექტების დასრულება იმედია გაზრდის ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობას წყლის ობიექტებზე, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ შემოსავლების ზრდას.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის ათვისებულია საქართველოს ჰიდრორესურსების მხოლოდ 20 %, დანარჩენი 80 % ასათვისებელია. გამოყენებული რესურსების უდიდესი წილი ენერგეტიკაზე მოდის. მომავალში წყლის რესურსების მრავალმხრივი (ენერგეტიკაში, ირიგაციაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, რეკრეაციაში და ა.შ) რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დამატებითი შემოსავლების მიღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავითულიანი ც., მიქაუტაძე დ., - საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება. აწსუ, ქუთაისი, 2008, 135 გვ.
2. ტრაპაიძე ვ., - წყლის რესურსები, თსუ, თბილისი, 2012, 133 გვ.
3. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. <http://www.moe.gov.ge/>
4. <http://www.energy.gov.ge/>
5. <http://www.geostat.ge/>

შალვა ჯულაყიძე

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ასოცირებული პროფესორი,

სტრატეგიული ხელვა - წარმატების უცვლელი პირობა

ანოტაცია

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეპოქა ცვლილებების სწრაფი ტემპით ხასიათდება. ამიტომაც, წარმატების მსურველ მენეჯერთა უმთავრესი გამოწვევაა ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მისი წინასწარ განჭვრეტა და მათზე რეაგირება. სწორედ, ამ პრობლემის გადაწყვეტაა - მენეჯერის სწორი სტრატეგიული ხელვა, ბიზნეს-გარემოს ყველა შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციებზე სრული ინფორმაციის მოძიება და მისი შეხამება კომპანიის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებთან, რათა კომპანიამ კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს და ცვლილებებთან ადაპტაცია იოლად მოახერხოს. სტრატეგიათა ინოვაციურობის პოზიციიდან, სტრატეგიული ხელვა შეიძლება სამ ძირითად მიმართულებად წარმოვიდგინოთ. ესენია: ახლის ათვისების სტრატეგია; არსებულის განახლების სტრატეგია და თანდათანობითი სრულყოფის სტრატეგია.

საკვანძო სიტყვები: ცვლილებების განჭვრეტა; ცვლილებებთან ადაპტაცია; სტრატეგიული ხელვა; მიზნების ფორმირება; სტრატეგიული დაგეგმვა; წარმატებული ბიზნესი; სტრატეგიათა ინოვაციურობა.

კომპანიათა თანამედროვე ბიზნეს-გარემოში აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებზედაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს: კონკურენციის გამწვავებას; წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) ასორტიმენტის გაფართოებას; ტექნოლოგიათა სწრაფ განახლებას; კომბინირებული პროდუქციის წარმოების მეტ შესაძლებლობას; საქონლის სასიცოცხლო ციკლის მკვეთრ შემცირებას; თანამედროვე მსოფლიოს დამახასიათებელი დემოგრაფიულ ცვლილებებს; ბიზნეს-მონაწილეთა მჭიდრო ურთიერთკავშირს და სხვა [1, გვ. 27].

კომპანიათა მენეჯერები ყოველთვის უნდა აცნობიერებდნენ, რომ კონკურენტული ბრძოლა არა მარტო მუდმივია, არამედ მასში მრავლადაა უცაბედი ცვლილებები, რომლებიც შესაბამის პროგნოზირებას მოითხოვს. სწორედ, ამ პრობლემის გადაწყვეტაა სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი ეტაპი - მენეჯერის სწორი სტრატეგიული ხელვა, ბიზნეს-გარემოს ყველა შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციებზე სრული ინფორმაციის მოძიება და მისი შეხამება კომპანიის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებთან, რათა კომპანიამ კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს და ცვლილებებთან ადაპტაცია იოლად მოახერხოს.

სტრატეგიის არსს სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად განმარტავს, მაგრამ ყველა მათგანი მას კომპანიის გრძელვადიანი მიზნების შესასრულებლად ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან აკავშირებს. მარტივად, სტრატეგიას უწოდებენ გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სტრატეგიის ფორმულირების, დანერგვისა და

ორგანიზაციული მიზნების რეალიზაციისკენ. ანუ, სტრატეგია ეს არის ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული ნაბიჯების ერთობლიობა წარმატებული ბიზნესის საწარმოებლად, რომელიც კომპანიამ მომავალში უნდა განახორციელოს [3, გვ. 18]. უფრო კონკრეტულად, ეს არის მენეჯერთა ხედვა კომპანიის კონკურენტული პოზიციების, კლიენტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საქმიანობის მაღალი შედეგების მისაღწევად. ამრიგად, სტრატეგია გვთავაზობს კომპანიის ბიზნეს-გარემოს სურათის ფართო პლანით ხედვას, რაც წარმატების პერსპექტივას ქმნის. იგი საშუალებას აძლევს კომპანიას უზრუნველყოს წარმატება კონკურენტულ ბრძოლაში და მიადწიოს თავის მიზნებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

სტრატეგიული ხედვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელზეც მენეჯერმა სწორი პასუხი უნდა გასცეს, დაახლოებით ასე უღერს: „რა დონეზეა დღეს ჩვენი ბიზნესი და რა იქნება იგი მომავალში“. სწორედ ის, რასაც მენეჯერი, აღიქვამს ბაზარზე თავისი კომპანიის ადგილთან და მისი განვითარების გრძელვადიან კურსთან დაკავშირებით, არის სტრატეგიული ხედვა. ანუ, მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა - ეს არის სრული წარმოდგენა მომავალზე, რომლისკენაც მიისწრაფის ორგანიზაცია. ფაქტიურად, სტრატეგიულ ხედვაზეა დამყარებული ორგანიზაციის მისია და მიზანი - კომპანიის ძირითადი დანიშნულება.

ორგანიზაციის მისია - ეს არის მოკლე ფორმულირება იმისა, რისთვის არსებობს კომპანია და რა არის მისი რეალური მიმართულება. შეიძლება ითქვას, რომ მისია ფაქტიურად ამხელს კომპანიის საბოლოო მიზანს, ხაზს უსვამს მის უნიკალურობას, რომლითაც იგი პასუხობს გარემოს ცვლილებებს. ორგანიზაციის მისია გვაძლევს ბიზნესის საერთო ორიენტირებს, კომპანიის ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც გამოხატავენ მისი არსებობის არსს. ხშირად ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მისიის არჩევას, ან მათ ეს იმდენად იოლი საქმე ჰგონიათ, რომ თვლიან - ამისთვის დრო არ უნდა გააცდინო. ბევრს კი ჰგონია, რომ მთავარი მისია არის მოგების მიღება. არა და არა. მოგების მიღება არის ორგანიზაციის მხოლოდ შიდა პრობლემა. ორგანიზაცია, როგორც ღია სისტემა არსებობს მხოლოდ იმით, რომ მას შეუძლია დააკმაყოფილოს ვინმეს მოთხოვნა გარემოდან. მაგალითად, ჰენრი ფორდმა, რომელსაც, ცხადია, კარგად ესმოდა მოგების მნიშვნელობა, განსაზღვრა კომპანიის მისია, როგორც „ხალხის უზრუნველყოფა იაფი ტრანსპორტით“. როგორც იგი ამბობდა: „ყველა წამოწყების ამოცანაა - ვაწარმოოთ მომხმარებლისთვის და არა გამორჩენისათვის“ [4, გვ. 47].

მიზნების ფორმირება სტრატეგიული მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი პროცესია. კომპანიის მიზნები ეს არის მენეჯერთა მცდელობა მიიღონ გარკვეული შედეგი გარკვეულ დროში. შესაბამისად, მიზნების ჩამოყალიბებისას დაუშვებელია ისეთი ზოგადი, ფაქტიურად არაფრის მოქმედი ფრაზების მოყვანა, როგორცაა, მაგალითად: „მოგების მაქსიმიზაციის მიღწევა“, „დანახარჯების შემცირება“, „უფრო ეფექტიანი წარმოება“, „რეალიზაციის მოცულობის გაზრდა“, „მომხმარებელთა უკეთ დაკმაყოფილება“ და ა.შ. თავისთავად ასეთი ტერმინები, ბიზნესისათვის ცუდი არ არის, მაგრამ მათ არ გააჩნიათ რაოდენობრივი მაჩასიათებლები. მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა და მათი წარმატება კი ფასდება - სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზე ორიენტირებული იგი [3, გვ. 19]. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, თითოეულ მიზანს გაზომვის სათანადო კრიტერიუმი უნდა გააჩნდეს. მოსალოდნელ შედეგს, რომელიც დადგენილ დროში უნდა მივიღოთ, უნდა გააჩნდეს გარკვეული ღირებულება და მისი შეფასების კონკრეტული მაჩვენებლები, რომელიც განსაზღვრავს ამ ღირებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ყოველთვის მასტიმულირებელი და ამავე დროს რეალისტური უნდა იყოს, სწორად შერჩეული, გამომწვევი მიზანი უღვიძებს ინტერესს მენეჯერს, გამონახოს გზები კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. თუ მიზანი არარეალურია, ბუნებრივია - მისი განხორციელებაც შეუძლებელია. ამასთან, დასახელებული უნდა იყოს დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს მიღწეული მიზანი. მენეჯმენტში და ზოგადად ბიზნესში დროითი შეზღუდვები ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ამით ხაზგასმულია, რომ მიზნის განხორციელება უნდა მოხდეს დაგეგმილ პერიოდში, რითაც იქმნება იმის შეგრძნება, რომ ეს საქმე გადაუდებელია. თავის მხრივ, ქმნის დამატებით მოტივაციას მიზნის ვადაში განსახორციელებლად.

მენეჯერს უნდა გააჩნდეს უნარი, დაინახოს, ერთი მხრივ, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზე სწორად დაგეგმოს ბიზნესი. შესაბამისად, ის მენეჯერები, რომლებიც ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებებს ვერ ხედავენ, უჭირთ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, რაც თავისთავად ნიშნავს კონკურენტებისაგან ჩამორჩენას და შესაბამისად - ეკონომიკურ ზარალს. მხოლოდ თანმიმდევრული კონკურენტუნარიანი სტრატეგია, რომელიც არის კარგად გათვლილი და დაგეგმილი, წარმოადგენს ინდუსტრიაში აღიარებისა და რეპუტაციის გარანტიას.

ამრიგად, მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა კომპანიის განვითარების გრძელვადიანი, სწორად განსაზღვრული მიმართულებაა, რომელსაც ის მიზნების რეალიზაციამდე მიყავს და მასთან ერთად, გარემო ცვლილებებისა და იქ გაჩენილი ალტერნატივების ხარჯზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობასაც იძლევა.

ბუნებრივია, სტრატეგიულ მენეჯმენტში მნიშვნელოვანია არა მარტო კარგი დაგეგმვა, არამედ ამ გეგმის რეალიზაციის პროცესის სწორი განხორციელებაც [2, გვ. 31]. სტრატეგიის დანერგვის პროცესი გულისხმობს მენეჯერული ხედვის იმ მხარეს, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სტრატეგიამ რეალურად იფუნქციონიროს, ანუ მოხდეს დაგეგმილის პრაქტიკული რეალიზაცია. იგი გულისხმობს შემდეგი სახის დონისძიებების გატარებას: ისეთი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა, რომელიც შეძლებს წარმატებით ადასრულოს სტრატეგია; კომპანიის ხელთ არსებული რესურსების მობილიზაცია და სათანადო ბიუჯეტის ფორმირება; ადამიანური რესურსების მოტივაციის ქმედითი სისტემის შექმნა, რათა მათ ენერგიულად ჩაერთონ დასახული მიზნების მიღწევაში; სტრატეგიის დასანერგად სათანადო შიგა ორგანიზაციული გარემოს ჩამოყალიბება; ინფორმაციული სისტემების ფორმირება და გამართულობა; სტრატეგიის მხარდამჭერი პოლიტიკის დანერგვა და მრავალი სხვა.

სტრატეგიის დანერგვის პროცესი ურთულესი პროცედურაა. შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიის დანერგვის საკითხი არის ყველაზე რთული და მენეჯერული საქმიანობის ყველაზე შრომატევადი ნაწილი სტრატეგიულ მენეჯმენტში. მისი სირთულე გამოიხატება იმაში, რომ სტრატეგიის რეალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, როგორც პირველ სამეურნეო ხელმძღვანელზე და არა მარტო ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერების კვალიფიკაციაზე, არამედ მთლიანად კომპანიის ქცევაზე, მის უნარზე მიიღოს სასურველი შედეგი. ამდენად, სტრატეგიის დანერგვის პროცესში მენეჯერთა ყველა დონე მონაწილეობს. შესაბამისად, მისი წარმატებით დანერგვის საკითხი დამოკიდებულია ყველა დონის მენეჯერთა უნარზე და მეტიც - კომპანიის პერსონალის სამეწარმეო შესაძლებლობებზე, პროფესი-

ონალურ ცოდნასა და გამოცდილებაზე. სტრატეგიის წარმატებული დანერგვა სისხლხორცეულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეკრულია ორგანიზაციული პერსონალი.

სამწუხაროდ, სამეურნეო პრაქტიკაში, ბევრ მენეჯერს ახასიათებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე უფრო მეტი ფოკუსირება და მის განხორციელებას მეტად მცირე დროს უთმობს. თანამედროვე ბიზნესისთვის კი უდავო ჭეშმარიტებაა, რომ წარმატების მიღწევისათვის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული.

ბაზარზე გამოყენებული სტრატეგიების ჩარჩოებში, გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან შესაძლებელია ადაპტირების მრავალფეროვანი კომბინაცია, რაც გამოხატულებას პოულობს სტრატეგიის სხვადასხვა ვარიანტში. თუმცა, სტრატეგიათა ინოვაციურობის პოზიციიდან, ისინი შეიძლება დავაჯგუფოდ, სამ ძირითად მიმართულებად, რომლებსაც შეიძლება, ასევე, სტრატეგიის თანამედროვე ფორმები ვუწოდოთ. ესენია:

ახლის ათვისების სტრატეგია. ეს სტრატეგია იქმნება ბაზრისთვის სრულიად ახალი პროდუქტის (მომსახურების) ან მკვეთრად განსხვავებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების შეთავაზების გარშემო. იგი ქმნის ახალ „კონკურენტულ არეალს“, სამომხმარებლო მოთხოვნას ან საბაზრო ნიშას. აღნიშნული სტრატეგიის ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ გააჩნია არც ერთ კონკურენტს. ბუნებრივია, ახლის ათვისების სტრატეგია დაკავშირებულია დიდ რისკთან, რადგან ამ დროს კეთდება ის, რაც აქამდე არ ყოფილა. ანუ, არ არსებობს მისი მოხმარების (გამოყენების) გამოცდილება. ხოლო, თუ მომხმარებელმა ის კმაყოფილებით მიიღო, კომპანიას ეძლევა საშუალება, მიადწიოს მაღალ შედეგს როგორც საბაზრო წილის, აგრეთვე საფინანსო მაჩვენებლების მიხედვით.

არსებულის განახლების სტრატეგია. ახლის ათვისებასთან დაკავშირებული დიდი რისკიდან გამომდინარე, წარმატების მსურველი მენეჯერები, როგორც წესი, ნაკლებად შეიმუშავენ ახლის ათვისების სტრატეგიას. ისინი ანახლებენ საკუთარ მიმდინარე სტრატეგიას ან პროდუქციას. მით უმეტეს, თუ საუბარი გვაქვს ისეთ კომპანიაზე, რომელიც თავისი საბაზრო წილით და საფინანსო მაჩვენებლებით საკმაოდ წარმატებულია. ბუნებრივია, რომ ასეთ კომპანიათა მენეჯმენტი შეეცდება, მაქსიმალურად დიდხანს გამოიყენოს მოქმედი სტრატეგია და მისი განახლების შესაძლებლობა.

თანდათანობითი სრულყოფის სტრატეგია. ეს სტრატეგია, როგორც წესი, გამოიყენება მაშინ, როდესაც კომპანიას არ ძალუძს, ან არ უნდა ახლის ათვისების ან განახლების სტრატეგიის გამოყენება. სტრატეგიის ეს ვარიანტი გულისხმობს მასში უმნიშვნელო ცვლილებებს. ამ დროს კომპანიას ურჩევნია, არსებულ პროდუქტში ან მოქმედ სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში არა არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანოს. ის თანდათანობით ზრდის მომხმარებელთა წრეს, აწარმოებს რა კონკურენციას ნაკლებაგრესიული მეთოდებით და „უხმაუროდ“ ცვლის მიზნებს. მართლაც, თუკი კომპანიას აქვს წარმატების მომტანი პროდუქცია და სტრატეგია, რატომ უნდა უარყოს ის? არსებობს მარტივი წესი - „თუ რამე არ ფუჭდება, მაშინ მისი გაკეთებაც უაზრობაა“. იშვიათად, რომ რომელიმე კომპანიამ არ გაითვალისწინოს ეს მიდგომა.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრატეგიის განსაზღვრა ერთჯერადი ან მომენტალური გადაწყვეტილება, მოქმედება ან მოვლენა არ არის. სტრატეგია ყოველთვის იმ გადაწყვეტილებების, ქმედებების და მოვლენების სერიაა, რომლებიც კომპანიის მოქმედებათა მასშტაბებსა და მიზნებს უკავშირდება. ხოლო, სტრატეგიული ხედვა ყოველთვის დაკავში-

რებულია ცვლილებების შექმნასა და რეალიზებასთან, ამიტომ მისი შინაარსი განპირობებულია ბაზრის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებებით, აგრეთვე იმ გარემო ფაქტორებით, სადაც ფუნქციონირებს კომპანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თავი I. სტრატეგიული მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა, თბილისი, 2013 წ. old.press.tsu.ge/GEO/internet
2. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველო. თბილისი, 2008 წ. <http://www.nesgeorgia.org/publicationsa.php>.
3. ჯუღაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011 წ. - 165 გვ.
4. ჰენრი ფორდი. ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები, თბილისი, 1988 წ. - 364 გვ.

ნანა ლუხუტაშვილი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**შრომითი მოტივაციის დიაგნოსტიკის
თანამედროვე მეთოდები**

ანოტაცია

ნებისმიერ ორგანიზაციაში პერსონალთან მუშაობისას ერთ-ერთ ძირითად სირთულეს წარმოადგენს თანამშრომელთა მოტივაცია.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ მუშაკთა შრომითი საქმიანობის თანამედროვე ფსიქოდიანოსტიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ თანამშრომელთა შორის მოტივაციის მაღალი დონე, მათ ქცევაზე თანამედროვე კორექტირებისა და ზემოქმედების მეთოდების სრულყოფის გზებით. სტატიაში განხილულია ვ.ი. გერჩიკოვის მიღწევის მოტივაციის ოთხი საბაზისო ტიპები. მოტივაციის დიაგნოსტიკის Motype-ს მეთოდისა და მარტივია გამოსაყენებლად. იგი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ადამიანის შრომითი მიმართულების ზოგადი სურათი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შერჩევის სტადიაზე.

ჩვენს მიერ შესწავლილ ი. ვ. კოკურინას შრომითი მოტივაციის დიაგნოსტიკის მეთოდს საფუძვლად უდევს შეხედულება ორ ძირითად აზრობრივ ორიენტაციაზე: პროცესუალური - ნიშნავს, რომ ადამიანის აქტივობა მოქცეულია (შეზღუდულია) საქმიანობის მოცემულ ჩარჩოში და შედეგობრივი - აქტივობის უფრო მაღალი დონე, რომელიც აიძულებს ადამიანს გამოვიდეს მისთვის დაწესებული, მითითებული სამუშაოს ჩარჩოებიდან. პროფესიონალური საქმიანობის მოტივაციის შესასწავლად ძალზედ ორიგინალურ მეთოდს გვთავაზობს კეტელინ ზამფირი, რომელსაც საფუძვლად უდევს შინაგანი და გარეგანი მოტივაციის კონცეფცია.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, დიაგნოსტიკა, მოტივაციური პროფილი, ფსიქოდიანოსტიკური მეთოდები, მიღწევის მოტივაციები: ინსტრუმენტალური, პროფესიონალური, პატრიოტული, სამეურნეო, თავის არიდების.

თანამედროვე პირობებში, წარმატების მიღწევა შეუძლებელია თანამშრომელთა მოტივაციის გარეშე - მათი ცოდნის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების სასურველი მიმართულების უზრუნველსაყოფად. პერსონალის მოტივაცია შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი საქციელის მამოძრავებელი (გამომწვევი) ორი ვექტორის მიმართულება ერთმანეთს ემთხვევა. აქედან პირველი, მომუშავის აქტუალური სურვილები და მოთხოვნილებებია, რომლებიც შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მოცემულ ორგანიზაციაში, მეორე კი ადამიანის შესაძლებლობა, შეასრულოს ორგანიზაციის მიერ მის წინაშე დასმული ამოცანები. ცხადია, ამ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ვექტორების თანხვედრის უზრუნველყოფა საკმაოდ რთულია. უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ დასაქმებულთა შრომითი მოტივაციის განსაზღვრისათვის ინსტრუმენტების არჩევა საკმაოდ შეზღუდულია. ისინი, რომ-

ლებიც რეალურად გამოიყენება პრაქტიკაში, პიროვნების მოტივაციურ სფეროს განიხილავენ ზოგადად და არ სპეციალიზირებულს, პიროვნების ინდივიდუალურობის გათვალისწინებით.

პერსონალის შრომითი მოტივების სხვადასხვაგვარობის მიუხედავად შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია. კერძოდ, პროფ. ვ. გერჩიკოვი გეთავაზობს გამოვიყენოთ ტიპოლოგიური მოდელი [1, გვ.2-6], რომელშიც გამოყოფილია მიღწევის მოტივაციის ოთხი საბაზო ტიპი: ინსტრუმენტალური, პროფესიონალური, პატრიოტული, სამეურნეო და ერთიც - თავის არიდების მიმართულების. განვიხილოთ ისინი:

ინსტრუმენტალური ტიპი. ახასიათებს შრომის კონპენსაციისა და სამართლიანი დაჯილდოების მოლოდინის მქონე მომუშავეთა ინტერესებს, დაკავშირებულს შრომის ანაზღაურებასა და სხვა კეთილდღეობასთან, რომელსაც ისინი დეზულობენ. შრომის ანაზღაურება უნდა იყოს იმ ოდენობის, რომელსაც ადამიანი თვლის თავისი ძალისხმევის ეკვივალენტურად. ასეთი ადამიანები გამოირჩევიან განვითარებული სოციალური ღირსებით.

პროფესიული მოტივაციით დასაქმებულები ორიენტირებულნი არიან მრავალფეროვნებაზე, საქმიანობაში შემოქმედებითობაზე, გატაცებაზე, თავის გამოჩენასა და იმის მტკიცებაზე, რომ შეუძლიათ თავი გაართვან ისეთ რთულ დავალებებს, რომლებიც ყველას არ შეუძლია, მიისწრაფიან პროფესიული სრულყოფისაკენ. მათთვის დამახასიათებელია განვითარებული პროფესიული ღირსება.

პატრიოტული მოტივაცია ვლინდება ადამიანთა რწმენაში, რომ ისინი საჭირონი არიან ორგანიზაციის, კომპანიისათვის და საერთოდ, მეტად მნიშვნელოვანი საქმეების რეალიზაციისათვის. მათ აუცილებლად სჭირდებათ საზოგადოებრივი აღიარება.

სამეურნეო მოტივაციით გამოირჩევიან ის დასაქმებულები, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ სრულ პირად პასუხისმგებლობას შესასრულებელ სამუშაოზე, საქმიანობაში მაქსიმალური დამოუკიდებლობის - სუვერენიტეტისაკენ სწრაფვა და კონტროლისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. მოტივაციის ეს ტიპი უპირატესად დამახასიათებელია მეწარმეობრივი იდეით შეპყრობილი ადამიანებისათვის.

თავის ამრიდებელი ტიპი. თავის არიდება დამახასიათებელია ადამიანისათვის, რომელიც მიისწრაფვის თავისი ძალისხმევის, პასუხისმგებლობისა და აქტივობის მინიმალური საფარის იმედებს ამყარებს „ნებივრობაზე“ და ხელმძღვანელის კეთილგანწყობაზე.

ვ. ი. გერჩიკოვას მოდელის მიხედვით მოტივაციის დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება Motype-ს მეთოდიკა. ტესტირების დრო - 20 წუთია. რესპოდენტებს - ბლანკზე ან კომპიუტერთან "დიალოგის" რეჟიმში, ინდივიდუალურად ან ჯგუფებში - სთავაზობენ 5 ბალიანი შკალის გამოყენებით მთავარდინონ იმ 28 წყვილი მტკიცებულების შედარება, რომლებიც ახასიათებენ შრომითი მოტივაციის სხვადასხვა მდგენელებს. კერძოდ:

- მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა;
- სხვათა მიერ (გარეშემყოფების მიერ) აღიარებისაკენ სწრაფვა;
- პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა;
- ხელმძღვანელზე დამოკიდებულების დონე;
- კარიერულ ზრდისაკენ სწრაფვა;
- მუშაობაში წარმატების მიღწევისაკენ სწრაფვა;
- პიროვნული ზრდისაკენ სწრაფვა;
- ჯგუფზე დამოკიდებულების დონე;
- შინაგანი და გარეგანი მოტივაციის თანაფარდობა.

მოცემული მეთოდის მოსახერხებელი და მარტივია გამოსაყენებლად. იგი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ადამიანის შრომითი მიმართულების ზოგადი სურათი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შერჩევის სტადიაზე. მეთოდი Motype-ს გამოყენება ნაკლებ გამართლებულია პერსონალის მოტივაციის სტრუქტურის შესწავლისას, მაშინ, როცა გეჭირდება ინდივიდუალური მიდგომა.

ამჟამად შრომითი მოტივაციის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია ფ. გერცბერგის მეთოდის. მისი ავტორის კონსტრუქტორად გვევლინება მოტივაციის ორფაქტორიანი თეორია. გერცბერგის კონცეფციის შესაბამისად სამუშაოთი დაკმაყოფილებისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ წარმოადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებს, ამიტომაც მათი შესწავლაც უნდა მოხდეს ცალ-ცალკე. სამუშაოთი დაკმაყოფილების ფორმირებაზე მოქმედებს ფაქტორთა გარკვეული ჯგუფი ანუ "მოტივატორები", ხოლო მის შესუსტებაზე კი სხვები, "პიგიენურები". მენჯერთა საქმიანობაში მოცემული თეორიის პოპულარობისა და ფართოდ გამოყენების მიუხედავად, რიგ მეცნიერებში თვით კონცეფცია იწვევს ეჭვს მათი კვლევის ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემების გამო. მაგრამ, როგორც დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, მეთოდის გვაძლევს შედეგებს, რომლებითაც თანამედროვე ხელმძღვანელები კმაყოფილნი არიან, რაზედაც კარგად შეტყვევებს ინტერნეტ-სივცეში არსებული დადებითი გამოხმაურებები.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება მეთოდის მოდიფიკაციური და ადაპტირებული ვარიანტები (მეთოდი ვ. რ. კელიხისა და უ.ლ. სტანჩენკოს). როგორც ე. კუპრიანოვი მიუთითებს, მოტივაციისა და შრომითი დაკმაყოფილების განმსახვრეველ ფაქტორთა ნაკრები მართალია ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არა იდენტურია. ეს ასპექტები აზრობრივადაც განსხვავებულია: არსებობს ხელმძღვანელური მოტივაციის ფაქტორები - პირველ რიგში ფინანსური, ამასთან საქმიანობიდან კმაყოფილება შეიძლება განპირობებული იყოს სხვა გარემოებებითაც.

საკადრო სამსახურების მუშაკების მოტივაციის შეფასების კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს შ.რიჩისა და პ. მარტინის "მოტივაციური პროფილის" მეთოდის, რომელიც პრაქტიკულად იოლი გამოსაყენებელია. ავტორთა აზრით, აღნიშნული მეთოდის საშუალებას გვაძლევს წარმოადგინოთ ვიქონიოთ ინდივიდის მოტივაციის სტრუქტურაში ყოველი მოთხოვნილების ფასეულობაზე. ტესტი სრულდება ბლანკზე, რომლის შევსება მოითხოვს დაახლოებით 40 წუთს. ამ ტესტით ვლინდება შრომითი მოტივაციის შემდეგი ფაქტორები:

1. **ხელფასი და მატერიალური წახალისება** ანუ სურვილი, გექონდეს სამუშაო, მაღალი სარგებლიანობით და დამატებითი შეღავათებით. აღნიშნული მოთხოვნილება შეიძლება იცვლებოდეს რესპოდენტის დროისა და ცხოვრებისეული სიტუაციისაგან დამოკიდებულებით;
2. **სამუშაოს ფიზიკური პირობები.** სურვილი, იმუშაო კარგ პირობებსა და კომფორტულ გარემოში;
3. **საქმიანობის სტრუქტურისა.** მოთხოვნილება, მიიღო უკუკავშირი, ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მოგცემს იმსჯელო შედეგებზე, ასევე შეამცირო განუსაზღვრელობა და დაამყარო ზუსტი წესები სამუშაოზე (სტრუქტურისა და შფოთის ინდიკატორი);
4. **სოციალური კონტაქტები.** სოციალური კონტაქტების საჭიროება, ადამიანთა ფართო წრესთან ურთიერთობა, ნდობის მსუბუქი ხარისხი, სხვა ადამიანებთან მუშაობა;
5. **ურთიერთდამოკიდებულება.** მოთხოვნილება, დაამყარო და შეინარჩუნო გრძელვადიანი კონტაქტები ადამიანთა არც თუ ისე დიდ ჯგუფებთან, ურთიერთნდობისა და ახლო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ხარისხით;

6. **აღიარება.** მოთხოვნილება, სხვათა მხრიდან აღიარების მოპოვებისა. სურვილი, გრძობა-დე საკუთარ მნიშვნელობას. მისწრაფება, დაამყარო კარგი სოციალური ურთიერთდამოკიდებულება იმისათვის, რომ გარშემო მყოფები უფასებდნენ ინდივიდებს მიღწევებს, დამსახურებებსა და წარმატებებს;

7. **მიღწევებისაკენ სწრაფვა.** ღრმა შინაგანი მოთხოვნილება დაისახო გაბედული მიზნები და მიაღწიო მათ. დაუკმაყოფილებლობის შეგრძობება, თუ არაფრისაკენ მისწრაფი. მიღწევების მუდმივად სტიმულირება, თვითმოტივაციის უნარი;

8. **ძალაუფლება და გავლენა.** სურვილი, გავლენა იქონიო გარშემომყოფებზე, უხელმძღვანელო და კონკურენცია გაუწიო მათ;

9. **მრავალფეროვნება.** მოთხოვნილება, მუდმივ ცვლილებებსა და სტიმულაციაში. მისწრაფება თავი აარიდო რუტინას, მზადყოფნა შეუცნობელისა და სიახლეებისადმი.

10. **შემოქმედება.** იყო კრეატიული, მოაზროვნე, მკვლევარი, ანალიზის უნარის მქონე, ახალი იდეებისადმი მსწრაფი მომუშავე;

11. **თვითგანვითარება.** პიროვნული ზრდისა და განვითარების აუცილებლობა;

12. **საინტერესო და სასარგებლო სამუშაო.** მოთხოვნილება, თავს გრძობდე საჭიროდ საინტერესო, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში.

მოტივაციური პროფილი მისი ავტორების შ.რიჩისა და პ. მარტინის მიხედვით, ატარებს "ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ ხასიათს... ინდივიდუალური განსხვავება ადამიანებს შორის მათი ადგილსამყოფელისა და საქმიანობის სფეროს განურჩევლობის მიუხედავად, შეიძლება გაცილებით მეტი იყოს ეროვნულობის ან საცხოვრებელი ადგილის ან სამუშაო ჯგუფების საზღვრებში, ვიდრე განსხვავება სხვა ფაქტორების მიხედვით".

შრომითი მოტივაციის დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ორიგინალურ მეთოდს გვთავაზობს ი. ვ. კოკურიჩა [2, გვ. 56]. მას საფუძვლად უდევს შეხედულება ორ ძირითად აზრობრივ ორიენტაციაზე: **პროცესუალური** - ნიშნავს, რომ ადამიანის აქტივობა მოქცეულია (შეხედულებია) საქმიანობის მოცემულ ჩარჩოში და **შედეგობრივი** - აქტივობის უფრო მაღალი დონე, სწორედ ის აიძულებს ადამიანს გამოვიდეს მისთვის დაწესებული, მითითებული სამუშაოს ჩარჩოებიდან. არსებობს მეთოდის საბლანკო და კომპიუტერული ვერსია. რესპოდენტს სთავაზობენ მათგან იმას, რომელიც მისთვის უფრო მოსახერხებელია. კითხვარში მოცემულია მტკიცებულებების 108 წყვილი, რომლებიც ახასიათებს ინდივიდის დამოკიდებულებას ფულის, კოლექტივისა და შრომის მიმართ. ავტორი იყენებს 6 მოტივს, რომელთაგან თითოეული დამოკიდებულია აზრობრივ ორიენტაციაზე: გარდამქმნელი, კომუნიკაციური, უტილიტარულ-პრაგმატული, კოპერატიული, კონკურენტული, ასევე მიღწევის მოტივი. კითხვარის მაღალ ინფორმაციულობიდან გამომდინარე შეიძლება მისი გამოყენებისას წარმოიშვას ზოგიერთი სირთულე. კერძოდ, კომპიუტერული გამოკითხვა მოითხოვს დაახლოებით 1 საათს, ხოლო მონაცემების ინტერპრეტაცია დიაგნოსტიკის ჩატარების მაღალ კვალიფიკაციას.

პროფესიული საქმიანობის მოტივაციის შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქნას კეტელინ ზამვირის მიერ წარმოდგენილი მეთოდიკა, რომლითაც განისაზღვრება მოტივაციური კომპლექსი, სამი ძირითადი-შინაგანი მოტივაციის, გარეგანი დადებითი და გარეგანი უარყოფითი მოტივაციის-შემადგენლით. არსებობს მეთოდის საბლანკო და კომპიუტერული ვერსია. ყველაზე საუკეთესო, ოპტიმალურ მოტივაციურ კომპლექსად ითვლება მოტივაციის შემადგენლების შეთანაწყობის ორი ძირითადი ტიპი:

1. შინაგანი მოტივაცია > შინაგანი დადებითი მოტივაციაზე > შინაგანი უარყოფითი მოტივაცია;

2. შინაგანი მოტივაცია = შინაგანი დადებითი მოტივაცია > შინაგან უარყოფით მოტივაციაზე.

უარეს მოტივაციურ კომპლექსს წარმოადგენს შინაგანი უარყოფითი მოტივაცია > შინაგან დადებით მოტივაციაზე > შინაგან მოტივაციაზე.

ამ კომპლექსებს შორის არსებობს სხვა შუალედური მოტივაციური კომპლექსებიც, მათი ეფექტურობის თვალსაზრისიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია არა მარტო მოტივაციური კომპლექსის ტიპი, არამედ ისიც, თუ რამდენად აღემატება მოტივაციის ერთი ტიპი მეორეს გამომსახველობის ხარისხით.

თუ მოტივაციური კომპლექსი არასასურველია, უნდა დაფიქრდეთ, რას უკავშირდება ეს და ვეძიოთ შინაგანი მოტივაციის რეზერვები სამუშაოში.

ამრიგად, თანამედროვე მენეჯერთა განკარგულებაში არსებობს მეთოდოლოგია მთელი რიგი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ დაქირავებული მუშაკებისა და შესარჩევი კანდიდატების შრომითი მოტივაციის დიაგნოსტიკა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ამგვარი კითხვარების რაოდენობა შეზღუდულია, მაგრამ თანამედროვე მეთოდოლოგიის დონე საშუალებას გვაძლევს წარმატებით გამოვიყენოთ ისინი HR სპეციალისტების პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც წარმოადგენს სწორი, გამართული საკადრო პოლიტიკის აუცილებელ ელემენტს ნებისმიერ პროგრესულ ორგანიზაციაში. იგი საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ თანამშრომელთა შორის მოტივაციის მაღალი დონე, მათ ქცევაზე თანამედროვე კორექტირებისა და ზემოქმედების მეთოდების სრულყოფის გზებით. თუმცა, იმისათვის, რომ ავირჩიოთ პერსონალის მოტივაციის დიაგნოსტიკის შესაფერისი მეთოდი, კარგად უნდა ჩავწვდეთ თითოეული მეთოდის არსს, მის შესაძლებლობებს, მიღებული შედეგების ხასიათსა და განსაკუთრებულობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Герчиков В. И., Типологическая концепция трудовой мотивации // Мотивация и оплата труда. 2005. № 3.
2. Кокурина И. Г., Методика изучения трудовой мотивации. Учебно-методическое пособие М., 1990.

ელიზბარ ბარბაქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მმართველობითი გადაწყვეტილება, როგორც ორგანიზაციული მენეჯმენტის ეფექტური აქტი

ანოტაცია

მენეჯმენტის სისტემაში მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების პრობლემა ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს. ფაქტობრივად არ არსებობს ისეთი მმართველობითი გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას არ ახდენდეს ორგანიზაციის მენეჯმენტზე. ყველა გადაწყვეტილება, მეტ-ნაკლები დოზით, ხასიათდება სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მახველებით: მიზანი; ალტერნატივები და მოტივი. კერძოდ, თუ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზანი, ასეთი არჩევანი არ შეიძლება განვიხილოდ როგორც გადაწყვეტილება; თუ არაა ალტერნატივა, არჩევანიც არ არსებობს და შესაძლებელია - როგორც წესი, ყოველი გადაწყვეტილების მიღების ფორმირება ხდება სხვადასხვა მოტივების დაპირისპირება-შეფასების შედეგად. მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების თეორიაში, სხვადასხვა მეცნიერი გადაწყვეტილების შემუშავების სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობს. თუმცა, ჩვენი აზრით, ყველა მათგანი, მეტ-ნაკლები დოზით, სამ ძირითადი მეთოდში აისახება. ესენია: ინტუიცია, განსჯა და რაციონალური გადაწყვეტილება. თუ ინტუიცია ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ შეგრძნებას, განსჯაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს ცოდნა და წარსულის გააზრებული გამოცდილება. ხოლო, რაციონალური გადაწყვეტილება, ინტუიციისა და განსჯის გარდა მოიცავს არსებული სიტუაციის ანალიზსა და მის ეკონომიკურ დასაბუთებას, რომელიც ამყარებს გადაწყვეტილების საიმედოობას.

საკვანძო სიტყვები: წარმატებული მმართველობითი აზროვნება; მიზანი, ალტერნატივი და მოტივი; ინტუიცია, განსჯა და რაციონალური გადაწყვეტილება; ალტერნატივათა იდენტიფიცირება; შესაძლო და ოპტიმალური ალტერნატივა; გადაწყვეტილებების საიმედოობა.

მენეჯმენტის სისტემაში მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების პრობლემა ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს. მტკიცებას არ საჭიროებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და რეალიზაციას ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებაში. ფაქტია ასევე, რომ მართებული მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებას მენეჯერის სწორი აზროვნება სჭირდება. კერძოდ, წარმატებული მმართველობითი აზროვნება ფასდება მისი სიღრმით, მოცულობით, მოქნილობითა და სისწრაფით. აზროვნების სიღრმემ უნდა დაგვანახოს გარემო პირობებში მოქმედ ფაქტორთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები; აზროვნების სიღრმე განსაზღვრავს მენეჯერის უნარს სრულად დაინახოს არსებული პრობლემა და არა მხოლოდ მისი რაღაც ცალკეული გამოვლინება; აზროვნების მოქნილობა ვლინდება მენეჯერის უნარში უარი თქვას სტერეოტიპებზე და მოძებნოს ორიგინალური გადაწყვეტილება. აზროვნების სისწრაფე - ეს არის მინიმალური დროის დანაკარგი პრობლემის ანალიზის დასაწყისიდან გადაწყვეტილების შემუშავებამდე. შესაბამისად, ვინც დგას მმართველობითი გადაწყვეტილების სათავეებთან, მისი ეს მახასიათებლები

მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტიანობას.

ყველა გადაწყვეტილება, მეტ-ნაკლები დოზით, ხასიათდება სამი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით. ესენია: მიზანი; ალტერნატივები და მოტივი. კერძოდ, თუ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზანი, ასეთი არჩევანი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადაწყვეტილება; თუ არაა ალტერნატივა, არჩევანიც არ არსებობს და მაშასადამე შეუძლებელია მართებული გადაწყვეტილების შემუშავება; და მესამე - როგორც წესი, ყოველი გადაწყვეტილების მიღების ფორმირება ხდება სხვადასხვა მოტივების დაპირისპირება-შეფასების შედეგად.

მოკლედ თითოეული მათგანის შესახებ:

მიზანი. მიზნების სწორი დასახვა ორგანიზაციის პროგრესის უცილობელი წინაპირობაა. როგორც მენეჯმენტის დარგის უდიდესი თეორეტიკოსი პიტერ დრუკერი აღნიშნავს - „მართვა უნდა იწყებოდეს მიზნების შემუშავებით და მერე გადადიოდეს იგი ფუნქციების, ურთიერთმოქმედების სისტემისა და პროცესების ფორმირებაზე“ [4, გვ. 55]. მიზნის სწორი განსაზღვრის ესოდენ დიდი მნიშვნელობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მიზანი არის ყველა საქმიანობის დაგეგმვის პროცესის ამოსავალი მომენტი და სწორედ ის განსაზღვრავს ორგანიზაციის ეფექტურობის ზრდის საშუალებებს. შესაბამისად, მენეჯერთა სტრატეგიული ხედვა და მათი წარმატება ფასდება სწორედ ისეთი მიზნების დასახვით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზეა ორიენტირებული [3, გვ. 18].

ყველა მიზნის ფორმირების საფუძველია ლიკვიდირებულ იქნას ან შემცირდეს მაინც განსხვავება ორგანიზაციის რეალურსა და სასურველ მდგომარეობას შორის. სწორედ ეს „სხვაობა“ ქმნის პრობლემას, რომლის შეუმჩნეველობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანოს ორგანიზაციას. ამიტომ, პრობლემისა და მისი გადაწყვეტის შესაძლებლობების დროული აღმოჩენა მეტად აქტუალური საკითხია მენეჯერის საქმიანობაში.

ალტერნატივები. ალტერნატივების განსაზღვრა მნიშვნელოვანი ფაქტორია პრობლემის გადაწყვეტაში. მენეჯერმა რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, უნდა განსაზღვროს ყველა არსებული ვარიანტი, რომელთა გამოყენებაც შეიძლება პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. ხოლო, ვარიანტების განსაზღვრის შემდეგ მენეჯერმა კრიტიკულად უნდა გაანალიზოს ყველა სამოქმედო გზა, მათი უპირატესობა და ნაკლი.

მოტივი. მმართველობითი მოტივი ეს არის მენეჯერის შინაგანი სურვილი ზემოქმედება მოახდინოს დაქვემდებარებულებზე, რათა მათი ძალისხმევა შექმნილი პრობლემის გადასაჭრელად წარმართოს. თუმცა, ასეთ შინაგან მოთხოვნილებებთან ერთად საჭიროა მენეჯერს ჰქონდეს სტრატეგიული აზროვნებისა და გადაწყვეტილების ორგანიზატორული უზრუნველყოფის უნარი. მენეჯერის მოთხოვნილებებისა და აღნიშნული უნარების საფუძველზე ფორმირდება მისი ინდივიდუალური მოქმედების კონცეფცია, როგორც ორგანიზაციული პრობლემების აღქმისა და გააზრების მეთოდი.

მმართველობითი გადაწყვეტილებების ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება გამომდინარეობს იქედანაც, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ისეთი მმართველობითი გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას არ ახდენდეს მენეჯმენტის ფუნქციებზე და პირიქით - მენეჯერული საქმიანობის ყველა მაჩვენებლები მჭიდროდაა დაკავშირებული მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან. მეტიც, მმართველობითი ქცევა საფუძველშივე შეიძლება იყოს ახსნილი სწორედ მმართველობითი გადაწყვეტილების კონტექსტში, რადგან მენეჯმენტის არსი ვლინდება მი-

ღებული გადაწყვეტილებების წარმატებაში.

მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების თეორიაში, სხვადასხვა მეცნიერი მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების განსხვავებულ მეთოდებს გვთავაზობს. ჩვენი აზრით, ყველა მათგანი, მეტ-ნაკლებად სამ ძირითადი მეთოდში აისახება: ინტუიცია, განსჯა და რაციონალური გადაწყვეტილება [1, გვ. 66; 4, გვ. 146].

ინტუიციური გადაწყვეტილების შემუშავებისას მენეჯერი ძირითადად ეყრდნობა საკუთარ შეგრძნებას, რასაც ადამიანის "მეექვსე გრძნობას" უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ინტუიცია საკმაოდ ხშირად მართლდება გამოცდილების შექმნასთან ერთად, მენეჯერი, რომელიც ორიენტაციას იღებს მხოლოდ ინტუიციაზე, ხდება შემთხვევითობის ტყვე და სტატისტიკის თვალთახედვით მისი შანსი სწორ არჩევანზე არც თუ ისე მაღალია.

განსჯაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება მოიცავს ინტუიციურ გადაწყვეტილებას, მაგრამ ინტუიციური გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, მას საფუძვლად უდევს ასევე ცოდნა და წარსულის გაახრებული გამოცდილება. მათი გათვალისწინებით და დღევანდელი ინტუიციური შეგრძნებით აირჩევა ის ვარიანტი, რომელმაც წარმატება უნდა მოუტანოს ორგანიზაციას. ბუნებრივია, გადაწყვეტილების მიღების აღნიშნული მეთოდი ინტუიციურ გადაწყვეტილებასთან შედარებით უფრო საიმედოა, თუმცა მისი საიმედოობა ბოლომდე მაინც არ არის დაცული. საქმე იმაშია, რომ განსჯაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებისას მენეჯერი ღებულობს მხოლოდ ადრე მიღებული გადაწყვეტილების მსგავს გადაწყვეტილებას. მარტივად რომ ვთქვად, მენეჯერი ირჩევს იმ ალტერნატივას, რომელსაც წარმატება ჰქონდა წარსულში. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს უნიკალურ და რთულ სიტუაციებში. აგრეთვე, ისეთ სიტუაციებში, რომლებიც ახალია ორგანიზაციისათვის. ანუ, თუ ახალ პირობებში მენეჯერი დაეყრდნობა მხოლოდ ინტუიციას, ცოდნასა და გამოცდილებას, მან შეიძლება მიიღოს არასწორი გადაწყვეტილება და ხელიდან გაუშვას უფრო ეფექტიანი ალტერნატივა.

რაციონალური გადაწყვეტილება აერთიანებს განსჯაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს და ამიტომ, ბუნებრივია, მოიცავს ინტუიციურ გადაწყვეტილებასაც. რაციონალური გადაწყვეტილება მათგან განსხვავდება იმით, რომ ამავე დროს, ეყრდნობა არსებული სიტუაციის ეკონომიკურ ანალიზსა და მის დასაბუთებას, რომელიც ამყარებს გადაწყვეტილების საიმედოობას.

ფაქტია, რომ თანამედროვე პირობებში, გადაწყვეტილების შემუშავება საკმაოდ რთულია, რადგან სისტემურად იცვლება გარემოს გარე და შიგა პარამეტრები. გადაწყვეტილებათა მიღების ინტენსიურობის ზრდა განპირობებულია იმით, რომ ორგანიზაციები, როგორც ღია სისტემა, იძულებული არიან უზრუნველყონ გარემო ფაქტორების სწრაფი ცვლილებების მიმართ იდეალური ადაპტაცია, რომელსაც იგი აღიქვამს უკუკავშირის მეშვეობით და რომელიც გვიჩვენებს მართვის ობიექტის პარამეტრების მიზნებიდან გადახრას, რაც ორგანიზაციათა მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენს. პრობლემა იმაშია, რომ ორგანიზაციის მართვის პროცესში ხშირად იქმნება მიზნებისა და სიტუაციების წინააღმდეგობა, რომლის სწორი გადაწყვეტა განსაზღვრავს მენეჯერის სამოქმედო კურსის შეცვლის აუცილებლობას სასურველი მიზნის მისაღწევად.

ზოგადად, გადაწყვეტილების შემუშავება ნიშნავს გაანალიზებულ იქნას მიზნის მიღწევის ყველა შესაძლო ალტერნატივა; მოხდეს მათი იდენტიფიცირება მართვის სისტემის ფუნქციონირების სასურველ მდგომარეობასთან მიმართებაში; ჩამოაყალიბოს ყველა კონკრეტული

ქმედება ცალკეული გადახრების (პრობლემების) აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, რომლის საფუძველზე უნდა შეიქმნას თანმიმდევრული, სრული სამოქმედო გეგმა დასახული მიზნის მისაღწევად. ანუ შეიქმნას გეგმა, რომელიც სრულად ასახავს ორგანიზაციის რეაქციას მის შიგა და გარე გამაღიზიანებელზე.

ალტერნატივას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უწოდებენ მოქმედებათა გზებს, მიზნის მისაღწევ სტრატეგიას. მმართველობითი ქმედებები კი - ეს არის რესურსების გამოყენების გზები. ვინაიდან რესურსები შეზღუდულია, ყოველი ალტერნატივა შეიძლება შევაფასოთ, ერთის მხრივ, რესურსების ხარჯის ოდენობით, ხოლო მეორეს მხრივ, მოსალოდნელი შედეგებით. გასათვალისწინებელია ასევე - მიზნის მიღწევის ალბათობაც. ამასთან, როგორც რესურსების ხარჯი, ასევე მიზნის მიღწევის ალბათობა და სასურველი შედეგი პროგნოზირებადი მახასიათებლებია. შესაბამისად, თუ ზოგადად, გადაწყვეტილების მიღება - ეს არის ისეთი ალტერნატივების შერჩევა, რომელიც სრულად ითვალისწინებს დასაშვებ შეზღუდვებს (მათ შორის, ყველა ის ალტერნატივა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას არსებული შეზღუდვების ფარგლებში) ეწოდება შესაძლო (დასაშვები) ალტერნატივები. მათ შორის კი - იმ ალტერნატივას, რომელიც აღწევს სასურველი კრიტერიუმის ექსტრემუმს, უწოდებენ ოპტიმალურ ალტერნატივას.

ამრიგად, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის დამოკიდებულია შემოქმედებით აზროვნებასთან, რის გამოც მენეჯერს მოეთხოვება თავისი საქმის ღრმა ცოდნა და მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა მაღალი მეცნიერულ-პრაქტიკული დონის უზრუნველყოფა.

მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადების, შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული ორგანიზაციის მართვის, როგორც პროცესის უწყვეტობასთან, რომლითაც ყალიბდება მართვის ობიექტის საქმიანობა და სათანადო ქცევა. აღნიშნულის მიხედვით ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპლექსური აქტი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ეკონომიკურ, ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ, სამართლებრივ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ინფორმაციულ ასპექტებს [4., გვ. 149].

მმართველობითი გადაწყვეტილების ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ გადაწყვეტილებას აქვს რეალური ღირებულება, ანუ მის შემუშავებასა და რეალიზაციაზე აუცილებელია ფინანსური ხარჯების გაწევა. ფუნქციური მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციამ უნდა მოუტანოს ორგანიზაციას პირდაპირი ან/და გვერდითი შემოსავლები. არაეფექტური გადაწყვეტილება კი - მოიტანს ზარალს და შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის ფინანსური კრიზისი.

მმართველობითი გადაწყვეტილების ორგანიზაციული არსი მდგომარეობს იმაში, რომ მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში ჩართული უნდა იქნეს მისი ყველა რესურსი. ეს ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ორგანიზაციული პერსონალის ზუსტი ფორმირება, დამუშავდეს ინსტრუქციები, თანამშრომლები აღიჭურვონ უფლებებით, განისაზღვროს მათი მოვალეობები, პასუხისმგებლობა და კონტროლის ფორმა, გამოიყოს რესურსები და საერთო ჯამში კოორდინირებული იქნეს მთელი პროცესი.

მმართველობითი გადაწყვეტილების ტექნოლოგიური არსი გამოიხატება გადაწყვეტილების შემუშავების პროცესის უზრუნველყოფის შესაძლებლობაში უახლესი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით. მოძველებული, გაუმართავი ტექნოლოგია არ იძლევა ხარისხიანი

გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

მმართველობითი გადაწყვეტილების სამართლებრივი არსის მიხედვით მმართველობითი გადაწყვეტილება წარმოადგენს მართვის სუბიექტის ძალაუფლებრივ აქტს, რომელშიც იგი გამოსატყვევებს თავის უფლებებს დაქვემდებარებული პერსონალის ჩასართავად ორგანიზაციის მიზნების მიღწევის საქმეში. თუმცა, იგი ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტებისა და ორგანიზაციის შინაგანაწესის ზუსტი დაცვის აუცილებლობას. გადაწყვეტილების შემუშავების დროს ამ უკანასკნელთა დარღვევამ შეიძლება მიგვიყვანოს გადაწყვეტილების შეცვლამდე, ჯარიმებამდე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდე. ამიტომ, მრავალი გადაწყვეტილება გაივლის სამართლებრივ ექსპერტიზას.

მმართველობითი გადაწყვეტილების სოციალური არსის მიხედვით მმართველობითი გადაწყვეტილება წარმოადგენს ადამიანის მიერ შექმნილ აქტს და ეხება ისევე ადამიანთა ქცევებს. მასში ჩადებულია პერსონალის მართვის ისეთი მექანიზმები, როგორცაა: ორგანიზაციული მოთხოვნები და ინტერესები, მოტივები და სტიმულები, განწყობა და ღირებულებები. სოციალური არსი უპირველეს ყოვლისა ვლინდება გადაწყვეტილების მიზანში, რომელიც მარტივად ნიშნავს - „ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისთვის!“

მმართველობითი გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური არსის თვალსაზრისით მმართველობითი გადაწყვეტილება წარმოადგენს ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებასთან და იყენებს მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მმართველობითი გადაწყვეტილების ინფორმაციული არსის თვალსაზრისით მმართველობითი გადაწყვეტილება არის ინფორმაციის დამუშავების შედეგი, რომლის დროსაც ხორციელდება შესაძლო ვარიანტებს შორის ისეთის შერჩევა, რომელიც მენეჯერის აზრით, ყველაზე ახლოსაა ოპტიმალურთან. უფრო მეტიც, ყველა მმართველობით გადაწყვეტილება თავისი არსით ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავებისა და გადაცემის პროცესია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და რეალიზაციის ხარისხი უშუალო გავლენას ახდენს მართვის ეფექტიანობაზე და მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე. ბუნებრივია, ყველა გადაწყვეტილებას აქვს დადებითი და უარყოფითი ასპექტები (ეკონომიკური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და ინფორმაციული). ამიტომ, მისი შემუშავების დროს კარგად უნდა გაანალიზდეს მოსალოდნელი შედეგები და გამოინახოს ისეთი კომპრომისული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციის სამოქმედო პარამეტრები მიუახლოვდება სასურველს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბლაძე გ., მდებრიშვილი ბ., წიწკოლაური ფ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი, „უნივერსალი“, 2008 წ. - 487 გვ.
2. ჯულაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2011. - 165 გვ.
3. ჯულაყიძე ე. მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი. „ხანძთა“, 2013. - 364 გვ.
4. Питер Ф. Друкер, Задачи менеджмента в XXI веке. Учебное пособие. М, 2007. <http://www.koob.ru/drucker peter/>

ხათუნა შალამბერიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**დისტანციური მომსახურების განვითარების
პერსპექტივები საქართველოში**

ანოტაცია

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით კლიენტებისთვის დისტანციური საბანკო მომსახურების მიწოდება არც თუ იშვიათი მოვლენაა. საქართველოში დღესდღეობით არსებული კომერციული ბანკისგან, ამა თუ იმ სახის დისტანციური სერვისის უმრავლესობას აქვს დანერგილი. უმეტეს ბანკებში ყველაზე უფრო გავრცელებული მომსახურებაა ბანკი-კლიენტი და ინტერნეტ ბანკინგი. ბანკი-კლიენტის სისტემა წარმოადგენს სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, რომლის ინსტალაცია ხდება კლიენტის პერსონალურ კომპიუტერზე და სპეციალური პაროლის-გასაღების მეშვეობით აძლევს მას შესაძლებლობას საკუთარი კომპიუტერიდან შეასრულოს გარკვეული სახის საბანკო ოპერაციები, ასევე აკონტროლოს და მართოს თავისი ანგარიშები.

ინტერნეტ-ბანკინგისგან ეს სისტემა განსხვავდება იმით, რომ ბანკი-კლიენტის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ კომპიუტერიდან, რომელშიც დაინსტალირებული არის სპეციალური პროგრამა. მსგავსი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილოთ ბიუროკრატიული შეფერხებები, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება ბანკში, ხოლო მეორე მხრივ, სრულად გამოვიყენოთ ბანკის მომსახურებათა მთელი სპექტრის უპირატესობები. აღნიშნული მომსახურებების მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა საბანკო ოპერაციის ჩატარება ოფისიდან გაუსვლელად განახორციელოთ.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური საბანკო სერვისი, ძირითადი ნოვაციური პროდუქტები - ბანკი-კლიენტი, ინტერნეტ ბანკინგი, ტელეფონ-ბანკი, მობაილ-ბანკი, ინოვაციური ინვესტიცია.

ქვეყანაში ფუნქციონირებადი კომერციული ბანკებისგან, ამა თუ იმ სახის დისტანციური სერვისი ფართოდ არის დანერგილი. რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული მომსახურებაა ბანკი-კლიენტი და ინტერნეტ ბანკინგი. ბანკი-კლიენტის სისტემა წარმოადგენს სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, რომლის ინსტალაცია ხდება კლიენტის პერსონალურ კომპიუტერზე და სპეციალური პაროლის-გასაღების მეშვეობით აძლევს მას შესაძლებლობას საკუთარი კომპიუტერიდან შეასრულოს გარკვეული სახის საბანკო ოპერაციები, ასევე აკონტროლოს და მართოს თავისი ანგარიშები.

ინტერნეტ-ბანკინგისგან ეს სისტემა განსხვავდება იმით, რომ ბანკი-კლიენტის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ კომპიუტერიდან, რომელშიც დაინსტალირებული არის სპეციალური პროგრამა. სისტემა «ბანკი-კლიენტის» მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელება შეგიძლიათ ოფისიდან გაუსვლელად განახორციელოთ: საგადახდო დოკუმენტების თავმოყრა და გაგზავნა; ვალუტის ყიდვა, გაყიდვა და კონვერსია; სხვა

გადამხდელებისგან მიღებული საგადახდო დოკუმენტების მიღება, დაბეჭდვა; ოპერატიული ინფორმაციის მიღება მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთთან დაკავშირებით; საგადახდო დოკუმენტების გატარების კონტროლი; საგადახდო დოკუმენტების ბაზის წარმოება; ამასთან, სისტემის საშუალებით შესაძლებელია რამდენიმე ორგანიზაციის ბაზისა და თითოეული ორგანიზაციისთვის რამდენიმე ანგარიშის წარმოება; ამონაწერების ფორმირება და დაბეჭდვა; ანგარიშების ფორმირება და სხვ.

საქართველოში დისტანციური მომსახურების დანერგვა პირდაპირ კავშირშია საბაზრო ეკონომიკასთან, რომელიც სულ უფრო იხვეწება და ვითარდება, გაზრდილ მოთხოვნებს უწყნებს საბანკო სისტემას, როგორც მის ერთ-ერთ რთულ და მგრძობიარე სფეროს. ასეთ პირობებში ბანკები იძულებულნი არიან ჩაატარონ კლიენტების უფრო ფართო ჯგუფების კვლევა და დანერგონ მომხმარებლის სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი საბანკო პროდუქტები. ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები წარმოადგენს ინოვაციას, ხოლო მათ დანერგვაზე გაწეული ხარჯები – "ინოვაციურ ინვესტიციას". საბანკო ინოვაცია მოიცავს: ახალ საბანკო პროდუქტს, რომელიც საერთოდ პირველად გამოჩნდა საფინანსო ბაზარზე; მოცემული ქვეყნისათვის ახალ სახდვარგარეთულ საბანკო პროდუქტს; ახალ ფინანსურ ოპერაციებს.

დღეისთვის შეიძლება გამოვეყოთ დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემების სამი ყველაზე გავრცელებული სახეობა:

ტრადიციული სისტემები „კლიენტი-ბანკი“, რომელიც იყენებს პირდაპირ კავშირს ბანკთან მოდემით და ითვალისწინებს კლიენტის კომპიუტერზე სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებას; სისტემები „ტელებანკი“ (სატელეფონო ბანკინგი) – საგადასახდლო და საინფორმაციო საბანკო მომსახურება ტელეფონით/ფაქსით, კომპიუტერული ტელეფონის გამოყენებით; ინტერნეტ-ბანკინგი – საბანკო მომსახურებათა გაწევის სისტემები ინტერნეტის საშუალებით, რომლითაც კლიენტს შეუძლია იმუშაოს თავის საბანკო ანგარიშთან ნებისმიერი ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერიდან.

საბანკო ნოვაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობაა ელექტრონული კომერციის საბანკო მომსახურება. ელექტრონულ კომერციად, ფართო გაგებით, გულისხმობენ ბიზნესის სხვადასხვა სახეობას ინტერნეტ-მომსახურებათა ჩათვლით (საიტების შემუშავება, პროვაიდერული მომსახურება და ა.შ.), ხოლო ვიწრო გაგებით, ელექტრონულ კომერციაში იგულისხმება საქონლისა და მომსახურებათა გაყიდვა ინტერნეტით. ელექტრონული კომერციის საბანკო მომსახურება ვიწრო გაგებით არის მყიდველსა და გამყიდველს შორის უნაღდო ანგარიშსწორება.

ინტერნეტ-ბიზნესის საყოველთაოდ მიღებული ორი ძირითადი მოდელი არსებობს: B2B და B2C. მოდელი B2B (Business – to – Business) – ეს არის ურთიერთობები კომპანიებსა და მიმწოდებლებს, მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის. მოდელი B2C (Business – to – Customer) კი გულისხმობს მომსახურებისა და საქონლის გაყიდვას საბოლოო მომხმარებლებზე. წამყვანი კონსალტინგური კომპანიების გამოკვლევათა თანახმად, მოდელი B2B სწრაფად ვითარდება. რაც შეეხება B2C მოდელს, იგი დიდი ხანია წარმატებით მუშაობს ონლაინურ ბაზარზე და მის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას ინტერნეტ მაღაზია წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ შენაძენთა ნახევარზე მეტი ინტერნეტში უახლოეს დროში გადახდილი იქნება ციფრული ფულის დახმარებით, რომელიც წარმოადგენს ჩანაწერებს ანგარიშებზე ელექტრონულ საგადასახდლო სისტემებში. დღეისათვის ციფრული ფული (WEB-

MONEY) შეიძლება გამოვიმუშავოთ, დაეხარჯოთ ინტერნეტ მაღაზიებში, გადავრიცხოთ სხვა პირების ანგარიშებზე, ასევე მოვხსნათ ნაღდი სახით სპეციალურ გადამცვლელ პუნქტებში სხვადასხვა ვალუტებში.

ინტერნეტ ქსელში გადახდის მეორე გავრცელებული ინსტრუმენტი არის საბანკო ბარათები. უმსხვილესი საერთაშორისო საგადასახდელი სისტემები (VISA და MASTER CARD) აქტიურად ავითარებენ პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების საკუთარ სისტემებს ინტერნეტში.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ საბანკო სივრცეში ზემოთ განხილული საბანკო პროდუქტები ნელ-ნელა შემოიჭრა. ძირითადი ნოვაციური პროდუქტები, რაც წარმატებით დაინერგა ქართულ კომერციულ ბანკებში, არის ტელეფონ-ბანკი, ინტერნეტ-ბანკი, ბანკი-კლიენტი და მობილ-ბანკი.

ტელეფონ-ბანკის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ბანკთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მიღება: ანგარიშზე არსებული ნაშთი, ბრუნვა და განხორციელებული ოპერაციები; ვალუტის კურსები; არსებული ანაბრის ვადა, დარიცხული პროცენტებისა და თანხის სიდიდე; არსებული სესხის დაფარვის გრაფიკი; ამონაწერების მიღება; პლასტიკური ბარათის დაბლოკვა/ბლოკის მოხსნა; ბანკის ცხელ ხაზზე ინფორმაციის დაფიქსირება.

ფიზიკურ პირებს, ასევე შეუძლიათ ტელეფონით განახორციელონ ისეთი ოპერაციები, როგორცაა: საკუთარ ანგარიშებს შორის ულიმიტო გადარიცხვები (ბანკის შიგნით და ბანკის გარეთ); კომუნალური გადასახადების გადახდა; საკუთარ ანგარიშებს შორის კონვერტაცია; სესხის დაფარვა და ა.შ.

მობილ-ბანკი, როგორც მნიშვნელოვანი საბანკო პროდუქტი, შედარებით ახალია ზემოთ ჩამოთვლილ სხვა პროდუქტებთან შედარებით. იგი ბანკსა და კლიენტს შორის მობილურ ტელეფონზე დაფუძნებული ურთიერთობის ფორმაა. მობილ-ბანკი კლიენტს საშუალებას აძლევს მთელი 24 საათის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია მის ანგარიშებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე განახორციელოს სხვადასხვა სახის ტრანზაქციები, გადაიხადოს კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახდელები.

მობილ-ბანკის საშუალებით კლიენტებს შეუძლიათ: შეიტყონ ინფორმაცია ანგარიშების შესახებ და მიიღონ ბანკის ამონაწერი მათ ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების თაობაზე; განახორციელონ გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის; გადაიხადონ კომუნალური გადასახდელები და შეავსონ მობილური ტელეფონის ბალანსი; ასევე, საჭიროების შემთხვევაში დაბლოკონ საკუთარი პლასტიკური ბარათი.

ბანკი-კლიენტი წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერულ-პროგრამულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც კლიენტებს შეუძლიათ აწარმოონ საბანკო ოპერაციები, მართონ თავიანთი ანგარიშები ოფისიდან/სახლიდან გაუსვლელად. კერძოდ, პროგრამა "ბანკი-კლიენტი" საშუალებას იძლევა: გადავრიცხოთ ეროვნული ვალუტა საქართველოს ტერიტორიაზე და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში; შევასრულოთ კონვერტაციის ოპერაციები; ვაწარმოოთ საბიუჯეტო გადარიცხვები; შევამოწმოთ ანგარიში, ნაშთი და ა.შ.

ინტერნეტ-ბანკი არის ელექტრონული საბანკო მომსახურება, რომელიც კომპიუტერის მეშვეობით საშუალებას იძლევა 24 საათიან რეჟიმში ოპერატიულად განხორციელდეს ყველა ზემოთ აღწერილი პროცედურა და მომსახურება. ამასთან იგი არ საჭიროებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას.

ახალი პროდუქტების შეფუთვა და მათ შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა კომერციული ბანკების ერთ-ერთი დიდი ნაკლოვანებაა, რადგან ისინი აღნიშნული ნოვაციური პროდუქტების შესახებ ინფორმაციას ან არ ავრცელებენ ან ავრცელებენ, მაგრამ არასაკმარისად სრულად და მომხმარებლისათვის ნაკლებად გასაგებად. ფაქტობრივად, დღეს ბანკი-კლიენტით, ინტერნეტ-ბანკით და მობილ-ბანკით მომხმარებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი, ძირითადად, საქმიანი ადამიანები სარგებლობენ საზოგადოების უდიდესი ფენა უარს ამბობს ამ მომსახურების გამოყენებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის რა სარგებელი მოაქვს მას ან რა უპირატესობით გამოირჩევა. შესაბამისად, მოქმედებს ჯაჭვური რეაქცია: არ არსებობს ინფორმაცია, არ არსებობს ინტერესი, არ არსებობს მოთხოვნა.

მეორე ძირითადი მიზეზი საბანკო პროდუქტებით ნაკლებ ეფექტიანად სარგებლობისა არის მოსახლეობისათვის თანამედროვე კომუნიკაციური სისტემებისადმი ხელმიუწვდომლობა. ვინაიდან საქართველოში ამ რესურსების დეფიციტია, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ პროდუქტზე მოთხოვნაც.

ამრიგად, ქართული ბანკებისათვის სასარგებლოა შემდეგის გათვალისწინება: ახალი საბანკო პროდუქტის დანერგვამდე კარგად გაერკვნენ, რამდენად თავსებადია ის ქართველთა მენტალურ თვისებებთან; მაქსიმალურად დაიყვანონ ინფორმაცია მომხმარებელამდე და გახადონ ის გასაგები; შეეცადონ, მოიცვან მოსახლეობის ყველა ფენა, შეიმუშაონ ისეთი პროდუქტი, რომელიც მისაღები და გამოსაყენებელი იქნება ყველა სოციალური ფენისათვის; ახალი პროდუქტის შემოღებამდე კარგად მოამზადონ ამისათვის შესაფერისი ნიადაგი; უფრო აქტიურად მიიღონ ინფორმაცია უცხოეთის საბანკო ტექნოლოგიებისა და გამოგონებების შესახებ და მოახდინონ მათი ქართულ გარემოსთან ადაპტირება.

საქართველოში არსებული კომერციული ბანკები კონკურენციის დაძლევის მიზნით სულ უფრო დაბალ ტარიფებსა და უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვის მექანიზმებს თავაზობს თავიანთ კლიენტებს.

მსოფლიოში ნამდვილი ბუმი ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა ტექნოლოგიის დანერგვის მხრივ. რაც ძირითადად, ბანკომატის ან ინტერნეტის მეშვეობით ხორციელდება. მაგრამ ვერც პლასტიკური ბარათების და ვერც პერსონალური კომპიუტერების მფლობელთა რაოდენობა ვერ შეედრება იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ყოველდღიურად სარგებლობს მობილური ტელეფონით. სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მობილური ტელეფონის მეშვეობით წარმოებულ ანგარიშსწორება ყველაზე დიდ კონკურენციას უწევს ელექტრონული გადახდების სხვა ტექნოლოგიებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული თანამედროვე საბანკო მომსახურების სიახლეები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გამოყენებით საბანკო სერვისებს. დღეს მსოფლიოში არსებობს მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან, ნაღდი ფული ელექტრონულ ვერსიაში გადაიტანოს ჩარიცხვის აპარატებით. დისტანციური მომსახურების განვითარებას ხელს უწყობს სახელმწიფო პოლიტიკაც, რადგან ხელფასი დაქირავებულს და პენსიონერს - პენსია ერიცხება პლასტიკურ ბარათზე. ამან განაპირობა მოსახლეობის ინფორმირების აუცილებლობა საბანკო მომსახურების სახეობებზე, მათ შორის დისტანციურ მომსახურებაზე რითაც მათთვის მოსახერხებელი და მარტივი ფორმით ახდენენ ანგარიშსწორებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2014.
2. ქოქიაური ლ., საბანკო საქმიანობა, თბილისი, 2012.
3. ცაავა გ., საბანკო საქმე. თბილისი, 2005.
4. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი. თბილისი, 2009.
5. Фролова Т.А., Банковское дело: конспект лекций. Таганрог, ТТИ ЮФУ, 2010.

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საგარეო ვაჭრობა - სტატისტიკის შესწავლის მნიშვნელოვანი ობიექტი

ანოტაცია

საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ეკონომიკური ინტეგრაცია მას შესაძლებლობას აძლევს, შეზღუდული რესურსების პირობებში ოპტიმალურად განავითაროს ეროვნული ეკონომიკა და მეტად იყოს დაზღვეული მსოფლიო ბაზრის გლობალური კონიუნქტურული რყევებისაგან.

ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებმა ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მოთხოვნად ამ პროცესების ადეკვატური და ოპერატიული გააშუქების საკითხი დააყენა, რადგან საგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისათვის, როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე.

ეკონომიკურ-სტატისტიკურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხასიათდება უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსით, რაც ჩვენი ქვეყნისათვის თითქმის კანონზომიერ მოვლენად იქცა. 2009 წლიდან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი მართალია ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც თავისი შინაგნით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ამ მაჩვენებლის დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია (0.28) სასურველ დონესთან შედარებით. მისი შინაარსიდან გამომდინარე საქართველოდან გაცილებით მეტი ვალუტა გაედინება, ვიდრე შემოედინება, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

საგარეო ვაჭრობის გააქტიურების მიზნით ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს იმპორტის ექსპორტით ჩანაცვლებას, მოსახლეობის დასაქმებას და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტის ქვოტა.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა გლობალური ეკონომიკური ორგანიზმია, ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობაა, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება და ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტურ კანონებს. საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას გააჩნია რთული და ისტორიულად განვითარებადი ხასიათი, რაც განპირობებულია იმ ფორმების მრავალსახეობით, რომლითაც ის ხორციელდება.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ტრადიციულ და უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაცია პრაქტიკულად ვაჭრობით დაიწყო. ის არა მხოლოდ მარტივი, ისტორიულად პირველი, არამედ ყველაზე დინამიურად განვითარებადი ფორმაა. საგარეო ვაჭრობის როლი იმდენად დიდია, რომ მას

ხშირად აიგივებენ მთლიან საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან. ჯ. საქსის განმარტებით, „მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია ჯანსაღი ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემისაგან დამოუკიდებლად”.

საქართველო 1999 წლის 6 ოქტომბერიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრია. კავკასიის სახელმწიფოთაგან საქართველო პირველი და ყოფილი კავშირის ქვეყნებიდან მეოთხე გახდა ვმო-ის სრულუფლებიანი 136-ე წევრი, სადაც მან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი მიიღო. საგარეო ვაჭრობისადმი მზარდი ინტერესი განაპირობა საქართველოს ინტეგრაციამ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და მრავალ ქვეყანასთან გაფორმებულმა ორმხრივმა შეთანხმებებმა.

მსოფლიო ეკონომიკის აქტიური გლობალიზაციის პროცესებმა ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მოთხოვნად ინტეგრაციული პროცესების ადეკვატური და ოპერატიული გაშუქების საკითხი დააყენა, რადგან საგარეო ვაჭრობის შესახებ დროული და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემების არსებობა აუცილებელი პირობაა წარმოების, მიხმარების, დასაქმების, შემოსავლებისა და ზოგადად კეთილდღეობის მრავალმხრივი ანალიზისათვის, როგორც ქვეყნის, ისე გლობალურ დონეზე.

მიმდინარე ეტაპზე საქართველო სულ უფრო აქტიურად ერთვება მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველო ეკონომიკური ინტეგრაცია შესაძლებლობას აძლევს, შეზღუდული რესურსების პირობებში ეროვნული ეკონომიკა ოპტიმალურად განავითაროს და ამავე დროს, მეტად იყოს დაზღვეული მსოფლიო ბაზრის გლობალური კონიუნქტურული რყევებით გამოწვეული ზარალისაგან.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე თავად ეროვნული სტატისტიკაც საჭიროებს აქტიურ ჩართულობას მსოფლიო სტატისტიკურ სისტემაში და მოითხოვს ოფიციალური სტატისტიკის განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ ჰარმონიზაციას.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინსტრუმენტია. სტატისტიკა ეროვნული მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების საერთო სურათს ქმნის და რეგიონებში ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობებს აშუქებს, რისთვისაც კვლევის სპეციალურ მეთოდებს იყენებს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება დაიწყო 1995 წლიდან. ამ პერიოდიდან მოგვეპოვება საბაჟო სამსახურების მიერ დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემები ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ამჟამად, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის, „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, 2010.” შესაბამისად. საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვისთვის გამოიყენება „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ნომენკლატურა” (სენს) HS 2012, რომელიც აგებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიული სისტემის ბაზაზე.

საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი, რაც ბუნებრივია დამოკიდებულია ამ სფეროში სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფაზე დავიწყოთ ზოგადი მაჩვენებლები

ბით. საანალიზოდ ავიღეთ 2000-2015 წლები. წინა წლებთან შედარებით საანალიზო პერიოდში უკვე მკვეთრად გაუმჯობესდა როგორც საბაჟო აღრიცხვა, ისე მონაცემების ტექნიკური დამუშავება (იხ. ცხრილი #3). ცხრილიდან ნათლად ჩანს 2000-2015 წლების საქართველოს საგარეო ვაჭრობის ამსახველი მაჩვენებლების დინამიკა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის მოცულობამ 2007 წელს პირველად გადააჭარბა მილიარდ ამერიკულ დოლლარს 3.8 -ჯერ გაიზარდა და 1 232 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის მკვეთრი ვარდნა აღინიშნა 2009 წელს, რაც აიხსნება საქართველოში აგვისტოს ომის შემდგომი ინერციით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. 2010-2013 წლებში იგი კვლავ აღმავალი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2014-2015 წლებში მისი მოცულობა კვლავ მცირდება.

ცხრილი #1

**საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები
(2000-2015 წლებში, მლნ. აშშ. დოლარი)**

წლები	ექსპორტი	იმპორტი	საღირს	სავაჭრო ბრუნვა	ექსპორტის წილი ბრუნვაში (%)	იმპორტის წილი ბრუნვაში (%)	ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი (%)
2000	323.9	709.5	-385.6	1033.4	31.3	68.7	45.7
2001	317.2	751.8	-434.6	1069.0	29.7	70.3	42.2
2002	345.7	794.6	-448.9	1140.3	30.3	69.7	43.5
2003	461.3	1139.0	-677.7	1600.3	28.8	71.2	40.5
2004	646.8	1844.4	-1197.6	2491.2	26.0	74.0	35.1
2005	865.5	2487.6	-1622.1	3353.1	25.8	79.7	34.8
2006	936.5	3674.7	-2738.2	4611.2	20.3	80.9	25.5
2007	1232.1	5212.1	-3980.0	6444.2	19.1	80.8	23.6
2008	1495.1	6301.5	-4806.3	7796.7	19.2	80.9	23.7
2009	1133.5	4500.2	-3366.7	5633.7	20.1	79.9	25.2
2010	1677.5	5257.1	-3579.7	6934.6	24.2	75.8	31.9
2011	2189.0	7038.0	-4868.6	9246.9	23.7	76.3	31.0
2012	2376.0	8037.0	-5661.0	10413.0	22.8	77.2	29.6
2013	2910.0	8012.0	-5102.0	10921.0	26.6	73.4	36.3
2014	2861.0	8596.0	-5735.0	11457.0	24.5	75.5	33.2
2015	2 205,0	7 730,0	-5 525	9 935	22.2	77.8	28.5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საანგარიშო პერიოდში ექსპორტის მსგავსად, ასევე მზარდი ტენდენცია დაფიქსირდა იმპორტშიც. 2015 წელს, 2000 წელთან შედარებით იმპორტის მოცულობა 10.8-ჯერ გაიზარდა და 7,7 მლრდ.აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი #2

საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე (2000-2015 წლებში)²

წელი	საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ. აშშ დოლარი)	მოსახლეობა (მლნ. კაცი)	ერთ სულ მოსახლეზე საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე (აშშ დოლარი)	ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის სიდიდე (აშშ დოლარი)	ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის სიდიდე (აშშ დოლარი)
2000	1033.4	4.4	234.9	73.6	161.3
2001	1069.0	4.4	242.9	72.1	170.8
2002	1140.3	4.4	260.8	79.1	181.8
2003	1600.3	4.3	368.5	106.2	262.3
2004	2491.2	4.3	577.3	149.9	427.4
2005	3353.1	4.3	775.9	200.3	575.6
2006	4611.2	4.4	1 047.7	212.8	834.9
2007	6444.2	4.4	1 466.4	280.4	1,186.0
2008	7796.7	4.4	1 779.2	341.2	1,438.0
2009	5633.7	4.4	1 284.6	258.5	1,026.2
2010	6934.6	4.4	1 576.0	381.2	1,194.8
2011	9246.9	4.5	2 069.0	489.8	1,579.2
2012	10413.0	4.5	2 314	528	1786
2013	10921.0	4.5	2 427	646	1780
2014	11457.0	4.5	2 546	636	1910
2015	9 935	3.7	2 685	596	2089

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა უფრო მეტად აისახა იმპორტზე, რის შედეგად მისმა მოცულობამ 2008 წლის ნიშნულს მხოლოდ 2011 წელს გადააჭარბა. 2015 წელს 2014 წელთან შედარებით იმპორტის მაჩვენებელი 866 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა. 2000-2015 წლებში საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 9 935 მლნ. აშშ დოლარამდე, აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 8 902 მლნ. აშშ დოლარი, (ანუ გაიზარდა 9, 6-ჯერ). რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის საღდოს, სანალიზო პერიოდში, იგი მუდმივად უარყოფითია.

საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი 2009 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც თავისი შინაარსით დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ამ მაჩვენებლების ციფრობრივი დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია (0,28). როდესაც ეს მაჩვენებელი 1-ზე მეტია, გვაქვს კარგი სავაჭრო პირობები, მაშინ ამონაგები მთლიანად ფარავს სავაჭრო საქონლის იმპორტზე ქვეყნის ხარჯებს და არეზერვებს

2 ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

უცხოური ვალუტის ნაწილს. ჩვენთან კი პირიქითაა, გაცილებით მეტი უცხოური ვალუტა გაედინება ქვეყნიდან, ვიდრე შემოედინება. საგარეო ვაჭრობის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია ექსპორტ-იმპორტის და საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე. ეს უკანასკნელი საანალიზო პერიოდში 234.9 აშშ დოლარიდან გაიზარდა 2 685 აშშ დოლარამდე. ექსპორტის მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა - 596, ხოლო იმპორტის მოცულობამ - 2089 აშშ დოლლარი. ექსპორტით იმპორტის გადაფარვის ხარისხი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს მხოლოდ 28.5%, რაც ასევე მნიშვნელოვნად დაბალია (იხ. ცხრილი №2).

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დასახასიათებლად ასევე გამოთვლიან ექსპორტ-იმპორტის ქვოტას. იგი ახასიათებს ექსპორტისა და იმპორტის წილს მშპ-ში. 2000 წელს ექსპორტის ქვოტა შეადგენდა მხოლოდ 10, 6 %, 2015 წლისათვის იგი 15,8 % მდე გაიზარდა, რაც კვლავ დაბალია. 2015 წლისათვის იმპორტის ქვოტამ 55.3% შეადგინა, ე. ი. ქვეყანაში წარმოებული მშპ-ის ღირებულების ნახევარზე მეტი იხარჯება იმპორტირებულ საქონელზე, რაც ასევე არასახარბიელო მაჩვენებელია (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი #3

ექსპორტის, იმპორტის და საგარეო ბრუნვის ქვოტა საქართველოში
2000-2015 წლებში (%)³

წლები	მშპ(მლნ. აშშ დოლარი)	ექსპორტი		იმპორტი		საგარეო საგაჭრო ბრუნვა	
		(მლნ. აშშ დოლარი)	ქვოტა (%)	(მლნ. აშშ დოლარი)	ქვოტა (%)	(მლნ. აშშ დოლარი)	ქვოტა (%)
2000	3 059.1	323.9	10.6	709.5	23.2	1033.4	33.7
2001	3 221.0	317.2	9.8	751.8	23.3	1069.0	33.1
2002	3 397.8	345.7	10.2	794.6	23.4	1140.3	33.6
2003	3 990.8	461.3	11.6	1 139.0	28.5	1600.3	40.1
2004	5 124.7	646.8	12.6	1 844.4	36.0	2491.2	48.6
2005	6 411.0	865.5	13.5	2 487.6	38.8	3353.1	52.3
2006	7 761.7	936.5	12.1	3 674.7	47.3	4611.2	59.4
2007	10 171.9	1232.1	12.1	5 212.1	51.2	6444.2	63.6
2008	12 800.5	1495.1	11.7	6 301.5	49.2	7796.7	60.9
2009	10 767.1	1133.5	10.5	4 500.2	41.8	5633.7	52.3
2010	11 636.5	1677.5	14.4	5 257.1	45.2	6934.6	59.6
2011	14 438.5	2189.0	15.2	7 038.0	49.1	9246.9	64.3
2012	15 846.8	2376.0	15.0	8 037.0	50.7	10413.0	65.7
2013	16 139.9	2910.0	18.0	8 012.0	49.6	10921.0	67.6
2014	16 507.8	2861.0	17.3	8 593.0	52.1	11457.0	69.4
2015	13959.9	2205.0	15.8	7730.0	55.3	9935.0	71.2

ამრიგად, საგარეო ვაჭრობა, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძალზედ აქტიური და სწრაფად მზარდი სექტორი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ, როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე მეცნიერ მკვლევარების მხრივ.

3 ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

დან. ეროვნული სტატისტიკა საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების დასახასიათებლად იყენებს საერთაშორისო სტანდარტებსა და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობილ მაჩვენებელთა სისტემას.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხასიათდება უარყოფითი სავაჭრო ბალანსით, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უკვე კანონზომიერ მოვლენად იქცა. 2009 წლიდან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი მართალია ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც თავისი შინაარსით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ამ მაჩვენებლების ციფრობრივი დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია (0,28). ამ მაჩვენებლის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოდან გაცილებით მეტი ვალუტა გაედინება, ვიდრე შემოედინება, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

საგარეო ვაჭრობის გააქტიურების მიზნით ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რაც უზრუნველყოფს იმპორტის ექსპორტით ჩანაცვლებას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლამაზიშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თბ., 2003.
2. ბეშქენაძე ზ. საერთაშორისო ეკონომიკა, ნაწ. პირველი, აწსუ, 2016.
3. ვირსალაძე ნ. ბაკურაძე ა., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწ. მეორე, 2008.
4. მარშავა ქ. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სტატისტიკა, 2010.
5. მესხია ი. „საერთაშორისო ვაჭრობა“, თბ., 2012.
6. ძეგისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია, თბ., 2012.
7. საქსტატი, www.geostat.ge.

მირანდა კავაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

გლობალურ გარემოში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ანალიზი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

კონკურენტუნარიანობის შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ კონკურენტუნარიანობის შეფასებისას დამკვიდრებულ თითქმის ყველა მეთოდს გარკვეული ხარვეზები აქვს. ენაკლებად შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კონკურენტუნარიანობის მიმდინარე და მომავალი მდგომარეობა; კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია ყველა ქვეყნისათვის ერთნაირია, მაშინ როდესაც ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ კეთილდღეობაზე და კონკურენტუნარიანობაზე განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის განსხვავებულია.

საქართველოს განვითარების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდ იპოტენციად გააჩნია. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ამ ეტაპზე აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი.

სტატიაში მკაფიოდაა განსაზღვრული, გლობალიზაციის პროცესის გავლენა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონეზე. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მთავარი შედეგი, კერძოდ, გლობალიზაციის ეპოქაში, ეროვნული ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, ბიზნეს-სექტორსა და უმაღლეს საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ეკონომიკური და ინოვაციური პოლიტიკის ცოდნაზე დამყარებული. ამიტომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პირობები შეუქმნას ინოვაციური ტექნოლოგიის კომერციალიზაციას, იმისათვის, რომ შეამსუბუქოს ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია და გაზარდოს ეროვნული შემოსავალი.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა, ეროვნული ზრდა, საქართველო, ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, მსოფლიო კონკურენტუნარიანობა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მოვლენას წარმოადგენს გლობალიზაცია, რომელიც ახალი ეტაპია ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციაში. მისი მახასიათებელი გახდა მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემების ფორმირება და ეროვნული საზღვრების დაძლევა.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა განასხვავებს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის გადრმავეების პროცესებს. ეს პროცესები განვითარების გლობალურ ეტაპზე და სულ უფრო მეტ ქვეყანას მოიცავენ. ინტერნაციონალიზაციის რაოდენობრივი

არეალის გაფართოებამ მას ახალი ხასიათი შესძინა. მსხვილი გაბატონებული სუბიექტები გადაიქცნენ გლობალური მასშტაბების მონაწილედ, პრინციპულად შეიცვალა საზოგადოებრივი განვითარების შიდა და გარე ფაქტორების თანაფარდობა. [1]

გლობალიზაციის ტენდენციის დონის დადგენა და პროცესის ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვაცალკევოთ ის ქვეყნები, რომლებიც მეტი ღიაობით ხასიათდებიან და მზად არიან გახსნილი ურთიერთობებისთვის. ქვეყნების გლობალიზებულიობის დონის გამოსაკვლევადა იყენებენ "შვეიცარიულ "KOF Index of Globalization", რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებს. ამ ინდექსის მიხედვით, 1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ქვეყანა იყო ბელგია.

გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ინფორმაციული ნაკადების შორ მანძილზე გადატანა, პოლიტიკურ გლობალიზაციას – სამთავრობო პოლიტიკის დიფუზია, ხოლო სოციალურს – იდეების, ინფორმაციის, ადამიანური ურთიერთობების მაღალი ხარისხი. ეს მაჩვენებლები, ეყრდნობა შემდეგ ქვეინდექსებს: რეალური ეკონომიკური ნაკადების მოცულობა; ეკონომიკის შეზღუდვები; ინფორმაციული ნაკადების მოძრაობა; პირადი კონტაქტების მაჩვენებლები; კულტურული სიახლოვის მონაცემები.

2015 წლის შედეგებით სახეზე გვაქვს გლობალიზაციის KOF ინდექსი, რომლის მიხედვით ყველაზე გლობალიზებული ათი ქვეყანაა: ბელგია (92.95), ავსტრია (92.51), ჰოლანდია (91.90), შვეიცარია (90.55), შვედეთი (89.75), დანია (89.68), კანადა (88.24), პორტუგალია (87.54), ფინეთი (87.31), უნგრეთი (87.00). აღნიშნულ რეიტინგში საქართველო 69-ე ადგილზეა (61.29). ჩვენს მეზობელ, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, აზერბაიჯანსა (55.18) და სომხეთს (54.99) შესაბამისად 95-ე და 96-ე პოზიციები უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ლიდერი ქვეყნების უმეტესობა ვეროპის რეგიონს მიეკუთვნება. ამასთან, ისინი არ ითვლებიან წამყვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთამაშეებად. თუმცა, როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ყველაზე უფრო აქტიურად არიან ჩართულნი მსოფლიოს ცხოვრების ყველა ასპექტში. [2]

გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც ყველაზე ნათლად ვლინდება სატრანსპორტო საშუალებების და კავშირგაბმულობის გაუმჯობესებაში. ინფორმაციისა და ტელეკომუნიკაციის სექტორი ქმნის ახალ შესაძლებლობებს საქონლის, მომსახურებების, ფინანსური საშუალებების, იდეებისა და ინფორმაციული პროდუქტების სწრაფ და დაბალხარჯიანი ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისათვის. ახალმა ინფორმაციულმა და კომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო მაღალსიჩქარიანი კომპიუტერული ტექნიკის განვითარებას, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სიხშირეების გადაცემას, თანამგზავრული და მობილური კავშირის, კიბერნეტიკის, ქსელური ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების კოდირების, ტელევიზორების ახალი თაობის ტექნოლოგიების, კომპაქტური ელექტრონული მოწყობილობების, გლობალური ინტერნეტ ქსელის შექმნას და სხვა ტექნოლოგიური მიღწევებს. [3]

მსოფლიოში ყველა ეთნოკულტურა დგას უდიდესი გამოცდის წინაშე, რათა როგორმე შეძლოს, არ დაკარგოს თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობა. ჩვენ, ქართველმა ერმა, უნდა გადავლახოთ ჩვენს წინაშე მდგარი მსოფლიო ერთიან სივრცეში უნიფიცირების უდიდესი საფრთხე, უნდა მოვარგოთ გასაღები შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და უნდა შევძლოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ჩვენი ერის წინაშე მდგარი უმთავრესი საფრთხე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ჩვენი ეროვნული თვითშეგნების და-

კარგვაში მდგომარეობს. ამასთან, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავად გლობალიზაცია არ შეიძლება იყოს ქართველი ერის არც მტერი და არც მოყვარე, რამეთუ იგი წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ნებისმიერი ერის მსოფლიოს ერთიან სივრცეში ინფორმაციული, სავაჭრო, ფინანსური, ეკონომიკური ინტეგრირების ობიექტურად აღძრულ პროცესს.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციის პროცესში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციის პროცესი ახდენს, როგორც დადებით ისე უარყოფით გავლენას. მისი ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

